გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№4 (1546) 24 თებერვალი – 2 მარტი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ახალი რუსული ბომბი – ოკუპირებული აფხაზეთის ტაძრებში ღვთისმსახურება დროებით შეწყდა!

„ეს მოღალატეობრივი პოზიციაა“, – რამდენი დაჯგუფება არსებობს აფხაზურ ეკლესიაში და რატომ დუმს საქართველოს საპატრიარქო

თებერვლის პოლიტიკური სიგიჟეები

რას შეცვლის 2021 წლის 23 თებერვალი საქართველოს უახლეს ისტორიაში

ეს ინტერვიუ აუცილებლად უნდა წაიკითხოთ – როგორ ყვლეფენ პაციენტებს საქართველოში?!

რატომაა სახელმწიფოს მიერ ოპერაციების დაფინანსებაში გადახდილი ფული წყალს გატანებული და რა პრობლემებს აწყდებიან ადამიანები ოპერაციის შემდეგ

იტალიაში, საფრანგეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში, ათეულობით ქართველის დაკავების ექსკლუზიური დეტალები

როგორ დაიგეგმა ორი სკანდალური სპეცოპერაცია

„როცა კეფაში მესვრით, გაიხსენეთ, რომ მთელმა სისტემამ ერთ ქალს ვერ აჯობა!“

გერმანიაში სამუშაოდ წასულ ქართველებს ხელფასი საქართველოში დაერიცხებათ და საშემოსავლოც ჩამოეჭრებათ

ყველაფერი ის, რაც გერმანიაში დასაქმების მიზნით წამსვლელებმა უნდა იცოდეთ!

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის პროექტის დასრულების შესახებ ვიდეოკონფერენცია გაიმართა

შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, კახაბერ საბანაძემ მონაწილეობა მიიღო პროექტის – „საზოგადოებასა და პოლიციას შორის ნდობის გაზრდა“ – დახურვის ონლაინ-ღონისძიებაში, რომელიც ვიდეოკონფერენციის ფორმატში გაიმართა.

შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ ნიდერლანდების სამეფოს ელჩი საქართველოში, მააიკე ვან კოლდამი და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (GCSD) წარმომადგენლები.

ვიდეოკონფერენციის მონაწილეებმა, პროექტის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებზე იმსჯელეს და ხაზი გაუსვეს მართლწესრიგის ოფიცრების შესაძლებლობების გაძლიერებაში მათ მნიშვნელობას.

შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, კახაბერ საბანაძემ მადლობა გადაუხადა ნიდერლანდების სამეფოს ელჩს საქართველოში, საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის ინსტიტუტის გაძლიერებაში შეტანილი წვლილისთვის და სამომავლო თანამშრომლობის მზაობა გამოხატა.

აღნიშნული პროექტი, საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს დაფინანსებითა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით, 2018 წლიდან ხორციელდება. იგი მიზნად ისახავს მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის განვითარების ხელშეწყობას.

პოლიციამ მედიაჰოლდინგი „კვირას“ ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ბრალდებით, ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ჭიათურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორი პირი: 1985 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი რ.ა. და 1991 წელს დაბადებული გ.ნ. დააკავეს. მათ ბრალად ედებათ ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ჩადენილი ძალადობის მუქარით.

დანაშაული 2 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, მიმდინარე წლის 15 თებერვალს, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუქრუთში, შპს „მედიაჰოლდინგი კვირას“ ქუთაისის ბიუროს ჟურნალისტსა და ოპერატორს პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ შეუშალეს ხელი, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და მიიმალნენ.

პოლიციამ რ.ა. და გ.ნ., მომხდარიდან რამდენიმე საათში, ბრალდებულების სახით დააკავა.

ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობის მუქარით, უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე, გამოძიება საქართველოს სსკ-ის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

ელისო ბოლქვაძე: „საბედნიეროდ, სახელმწიფო მოწოდების სიმაღლეზე დადგა!“

უმრავლესობის წევრი ელისო ბოლქვაძე, სოციალურ ქსელში ეხმაურება „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის, ნიკა მელიას დაკავებას:

„საქართველო უნიკალური კულტურით მდიდარი, უძველესი ევროპული ცივილიზაციის ნაწილია, თუმცა გაუთავებელმა ომებმა, ოკუპაციამ სახელმწიფოებრივობის შეგრძნება დაგვიქვეითა და დაგვავიწყა, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეკუთნოდეს!“

ჩვენი თავის მართვას მაშინ შევძლებთ, როდესაც თითოეული მოქალაქე გაითავისებს, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში, კანონის წინაშე, ყველა თანასწორია.

ამ ანბანურ ჭეშმარიტებაზე არის დაფუძნებული განვითარებული ევროპული სახელმწიფოები და თუკი ჩვენ, მუდმივი არეულობის, კანონის ფეხქვეშ გათელვის მცდელობებში ვიქნებით, ერთიან ევროპულ ოჯახში სრულფასოვანი ინტეგრაცია ძალიან გაგვირთულდება.

საბედნიეროდ, სახელმწიფო მოწოდების სიმაღლეზე დადგა და კანონი ისე აღასრულა, რომ არავინ დაშავებულა. სახელმწიფო მაქსიმალურ ჰუმანიზმს იჩენდა ბრალდებული მელიასადმი, მელია კი ყველაფერს აკეთებდა საკუთარი თავის დასაჭერად. მისი დაკავებისასაც კი, როდესაც მეორე მხარეს პროვოკაცია და ძალადობა იგეგმებოდა, პოლიციამ პროპორციული ძალის გამოყენებით, მაქსიმალურად ჰუმანურად უზრუნველჰყო კანონის აღსრულება. სწორედ ჰუმანიზმი და ეს ხელწერაა ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ამ გუნდის წევრი გავხდი“.

POSTV საგანგებო რეჟიმზე გადადის – ლაშა ნაცვლიშვილის საგანგებო განცხადება

ტელეკომპანია POSTV მაუწყებლობის საგანგებო რეჟიმზე გადადის, – აცხადებს ტელეკომპანიის ხელმძღვანელი, ლაშა ნაცვლიშვილი.

„POSTV მაუწყებლობის საგანგებო რეჟიმზე გადადის! ჟურნალისტი, პირველ რიგში, ამ ქვეყნის მოქალაქეა და აქვს უპირობო ვალდებულება, გააკეთოს მკაფიო არჩევანი კეთილსა და ბოროტს შორის. ნაციონალური სიმსივნე, რომელიც ოცი წელია, ჯიჯგნის ჩვენი სამშობლოს სხეულს, უნდა ამოიკვეთოს, ხოლო მისი მეტასტაზები - განეიტრალდეს, რათა დამშვიდდეს ქვეყანა და ნორმალური, დემოკრატიული განვითარების საშუალება მიეცეს. წილი ნაყარია! „POSTV“ ამ ბრძოლაში წინა ხაზზე იქნება!“ – აცხადებს ლაშა ნაცვლიშვილი.

„ჰოთნიუსი“

თაკო ჩარკვიანი: „ეს ანექსიის დასაწყისია“

23 თებერვალს, დილით, სპეცრაზმი შევიდა „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში და სამართალდამცავებმა პარტიის თავმჯდომარე, ნიკა მელია დააკავეს. სწორედ ეს ფაქტი გახდა მიზეზი ოპოზიციის აქციისა. „ჰოთნიუსი“ პარტია „კანონი და სამართლის“ ლიდერ თაკო ჩარკვიანს ესაუბრა:

„მოხდა ის, რასაც ველოდი, მაგრამ ფინალში მაქვს ოპტიმიზმი იმიტომ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობას ვერ დავთმობთ. ხელისუფლება მიზანმიმართულად ესაუბრება ასე დასავლელ პარტნიორებს, დიდი ხანია, დასავლეთთან კონფრონტაციას ეძებს, რადგან მერწმუნეთ, არ უნდა ატლანტიკური სივრცე, ევრაზიული კავშირი ურჩევნია, მეტი კორუფციული სივრცეა მისთვის. რუსული ტიპის მმართველობა უფრო მოსარგებია ხელისუფლების მოპარული თანხებისთვის.

ცხადია, გავაგრძელებთ ბრძოლას და ჩვენი მუშაობის შედეგია დასავლეთთან ურთიერთობა. იმიტომაც დავთმეთ 25 რიცხვი, ამ ბოიკოტმა გამოიწვია ეს და ხომ უნდა დაანახო დასავლეთს, რომ ვიღაც არის მიმტაცებელი და უზურპატორი?! უპირობოდ დავეთანხმებოდი კანონის აღსრულებას ნებისმიერი მოქალაქისადმი, რომ არ ვხედავდეთ, რომ ეს არის გამოკვეთილად შერჩევითი სამართალი, რასაც არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დაეთანხმო იმიტომ, რომ ეს ჯაჭვური ბმაა და ვერაფრით გექნება სასამართლო და პროკურატურა რეფორმირებული, სანამ ნიკა მელიას სამაჯურზე ისაუბრებენ, სადაც გირაო ერთხელ უკვე გადახდილია, მანამდე ვთქვათ, რომ თავზე დაგვახიეს კონსტიტუცია და გავრილოვი შემოიყვნეს, დააწინაურეს შემომყვანები და სჯიან გამპროტესტებელს, რომელ კანონზეა აქ საუბარი?!

ეს არის ანექსიის დასაწყისი, საქართველოს „რბილ ძალებთან“ გადაბარების მცდელობა. ტერორიზმი ახსენა ღარიბაშვილმა და მინდა ვუთხრა მას, ტეტრორიზმი ისაა, როცა ვაქცინა არ შემოგაქვს ქვეყანაში, როცა მთელი მსოფლიო იცრება; ტერორიზმია, როცა საათების მილიონებიანი კოლექცია გაქვს და სოციალურ დახმარებას უხსნი ადამიანებს და ისინი ვერ აპროტესტებენ. ეს პოლიტიკური ტერორიზმია და სხვა არაფერი. ტერორიზმია, როცა ხალხი გამოწმყვდეული გყავს და პოლიტიკური ფურშეტები გაქვს კოვიდპანდემიის დროს! მაგრამ ვერ გაგრძელდება, მერწმუნეთ, რომ ეს არ მოხდება. უბრალოდ, ვწვალობთ, ვიბრძვით, დრო მიდის, ქვეყანა ფერხდება.

აჩემებული რომ აქვთ 9-წლიანი რეჟიმი, მე, თაკო ჩარკვიანს, მესაუბრებიან 9 წელზე, როცა ეს ვირთხები დამალულები იყვნენ?! სანდრო გირგვლიანის ამბავზე რომ მეჭირა პლაკატი, „ძირს მურუსიძე“, ის მურუსიძე ამათ დააწინაურეს. ქეთი დუმბაძე მესაუბრება მე? - ის არ იდგა ჩემ გვერდით და არც სანდროს იცავდა, არც ბოლქვაძის განცხადება მახსენდება... ეს არის კომფორმიზმი და სირცხვილია! მე სხვა რამ მასწავლეს ოჯახში. ვიდრე 90-იანი წლები არ მოვიდა და ერთმანეთს არ დავუპირისპირდით და ორივე მხარე გარკვეულწილად დამნაშავე იყო, ჩემი ოჯახის უფროსის, მამის, ცხოვრებაში ეტაპი არ არის, სადაც ვაჟკაცი არ იყო. 1977 წელს, როცა გამსახურდიას გარიცხვას ხელი არ მოაწერა, მხოლოდ ერთმა გამგეობიდან. გამსახურდიას თავდები იყო ორჯერ, ბოლო თავდებობა გააფორმა 1989 წელს, როცა ზვიადი დაიჭირეს. თვითმფრინავის ბიჭების დროს, უკან არ წაიღეს მან, მარიკა და გიგა ლორთქიფანიძეებმა ხელმოწერა. ყველა ეტაპზე, სადაც შეეძლო, იყო კაცი და მგონია, რომ მთელი ცხოვრება ასე უნდა ვიცხოვროთ, რომ ჩვენი ქვეყანა, დამოუკიდებელი საქართველო, როგორმე გახდეს თანამედროვე განვითარებული ქვეყანა. სირცხვილია, ხალხი შიმშილობს და სადღაც, ჯანდაბაში მიჰყავთ ქვეყანა და ჩვენ ამას ვუყურებთ. ჩვენმა შვილებმა რა დააშავეს?! საკუთარ შვილებს ასწავლიან უცხოეთში, მერე ჩამოჰყავთ ისევ, კორუფციის ბუდეში რომ იცხოვრონ. რუსული თემაა, მაგრამ ამ ანექსიას, რომელიც ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს, ნორმალური ადამიანები ვერ შეეგუებიან. რუსეთს გავუძელით 9 აპრილს და ამ ნაძირლებს ვერ გავუძლებთ?!“

„ჰოთნიუსი“

თებერვლის პოლიტიკური სიგიჟეები

ნინო დოლიძე

რას შეცვლის 2021 წლის 23 თებერვალი საქართველოს უახლეს ისტორიაში

მეგონა, გავიზარდე... მეგონა, ჩემი ბავშვობის უსიამოვნო მოგონებები წარსულს ჩაბარდა... მეგონა, ის დროც დასრულდა, როცა სკოლაში მისულებს, თანაკლასელი გოგონები, „კაცების დღის“ აღსანიშნავად, კლასის ხელმძღვანელის ინიციატივით შეგროვილი ფულით ნაყიდ „ტრაინოი ადიკალონს“ გვჩუქნიდნენ... ჰო, დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველაფერი ეს წარსულს ჩაბარდა და წითელი არმიის დღეც მხოლოდ ისტორიის ქრონიკებში დარჩებოდა, მაგრამ... პოლიტიკური ღმერთებისა თუ დემონების წყალობით, 21-ე საუკუნის საქართველოში, 23 თებერვალი ისევ აქტუალურია, თუმცა ამ აქტუალობის საბაბი, საბჭოთა პერიოდისგან განსხვავებით, სხვა რამეა – 2021 წლის 23 თებერვალი, საქართველოს უახლეს ისტორიაში იმით შევა, რომ ამ დღეს, ყველაზე გავლენიანი და მსხვილი ოპოზიციური პარტიის, ნაციონალური მოძრაობის ლიდერი დააკავეს!

ახლა, შეიძლება, ვინმემ სხვანაირად გაიგოს და მომაძახოს კიდეც, შენ პირწავარდნილი „ნაცი“ ყოფილხარო, მაგრამ არა, ბატონებო, არც „ნაცი“ ვარ და არც – „ქოცი“! მე, როგორც ამ ქვეყნის რიგით მოქალაქეს, მინდა, ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობდე, სადაც სახელმწიფო ინსტიტუტები გამართული იქნება და სადაც პოლიტიკოსის, თუნდაც ის რაღაცაში იყოს ბრალდებული, დასაკავებლად იმდენ სპეცრაზმელს არ გამოიყვანენ, თითქოს მსოფლიო დონის ტერორისტი იყოს!

ისე, თუ დავაკვირდებით, თებერვალიც, ნოემბრისა არ იყოს, საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისთვის, ერთობ საკრალურია. ეს პარალელიც, შესაძლოა, ვინმეს თვალში მოხვდეს, მაგრამ ფაქტია – ზუსტად ასი წლის წინ, სწორედ ამ დროს, საქართველოში რუსები შემოვიდნენ. მართალია, ოპოზიცია ირწმუნება, რომ ყველაფერი ის, რაც ახლა ხდება, რუსული ნარატივია, მაგრამ ამასაც თავი რომ დავანებოთ, 1921 წლის თებერვლის მსგავსად, საქართველო ახლაც ერთგვარ დენთის კასრზე ზის.

როგორ განვითარდება მოვლენები? – ამის პროგნოზირება რთულია, თუმცა თუ ვითარების ესკალაცია დროულად არ მოხდა, მაშინ ცალკეული პოლიტიკური ძალები კი არა, არამედ მთელი ქვეყანა დაზარალდება. ამას კი ეს მრავალჭირნახული სახელმწიფო ვეღარ გაუძლებს – არ ჩამოქცევა, მაგრამ წელში გასასწორებლად, ძალიან დიდი დრო დასჭირდება.

ერთ-ერთი ყველაზე ცუდი, რაც შესაძლოა, ამ მოვლენებს მოჰყვეს, ის იქნება, რომ ე.წ. შენგენის ქვეყნებთან, უვიზო მიმოსვლა შეგვიჩერდება.

ეს საფრთხე რეალურია თუ არა? – პასუხი არც ამ კითხვაზე არსებობს, თუმცა დასავლელი პოლიტიკოსებისა და დიპლომატების მიერ გაკეთებული განცხადებები ცუდი წინათგრძნობის საბაბს იძლევა. აი, მაგალითად, აშშ-ს საელჩოს მიერ, ნიკა მელიას დაკავების მერე გავრცელებულ განცხადებაში ვკითხულობთ:

„ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო ღრმად არის შეშფოთებული მთავრობის გადაწყვეტილებით, მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერის დაკავების გამო, ამ დილით, პარტიის სათავო ოფისში.

ვწუხვართ, რომ შეერთებული შტატებისა და სხვა საერთაშორისო პარტნიორების მოწოდებები თავშეკავებისა და დიალოგისკენ უგულებელყოფილი იყო.

შეძრწუნებული ვართ, კრიზისის დროს, საქართველოს ხელმძღვანელი პირების მიერ გამოყენებული განხეთქილების გამომწვევი რიტორიკით.

ძალისმიერი მეთოდები და აგრესია არ არის საქართველოს პოლიტიკური უთანხმოებების გადაჭრის გზა.

დღეს, საქართველომ უკან დაიხია ევროატლანტიკურ სახელმწიფოთა ოჯახში, უფრო ძლიერი დემოკრატიისკენ მიმავალ გზაზე“.

ასევე, საგულისხმოა ბრიტანეთის ელჩის, მარკ კლეიტონის სიტყვები, რომელიც მან „ტვიტერზე“ დაწერა:

„შოკირებული ვარ სცენით, რომელიც დღეს ვნახეთ ნაციონალური მოძრაობის მთავარ ოფისთან. ქაოსი და ძალადობა ახლა უკანასკნელი რამაა, რაც საქართველოს სჭირდება. მკაფიოდ მოვუწოდებ ყველა მხარეს, იმოქმედონ თავშეკავებულად დღესაც და მომდევნო დღეებშიც“.

სხვათა შორის, დასავლეთისგან განსხვავებით, ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ ის, რაც 2021 წლის 23 თებერვალს მოხდა, ევროპული გზიდან გადახვევა კი არა, კანონის უზენაესობა და სახელმწიფოებრივი წესრიგის აღდგენაა.

„მე გუშინ ვრცლად ვისაუბრე ნიკა მელიასთან დაკავშირებით. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ნიკა მელია არის კრიმინალი. სხვა საქმეზე, „ბანკი ქართუს“ გაკოტრების საქმეზე, მას აქვს მისჯილი და სასამართლომ დაადგინა, რომ იგი არის კრიმინალი. ეს მეორე საქმეა, რომელზეც პოლიციამ დღეს დილით, მაღალპროფესიონალური სპეცოპერაციის შედეგად დააკავა იგი. ეს უკავშირდება სწორედ ამ შენობის, პარლამენტის შტურმის ორგანიზებას, რომელიც მან და მისმა თანაორგანიზატორებმა დაგეგმეს და, რა თქმა უნდა, ჩვენი სახელმწიფოს ძლიერების გამოცდა გადაწყვიტეს. ჩვენ ვაშენებთ სამართლებრივ სახელმწიფოს. ყველა, განურჩევლად მისი პოლიტიკური კუთვნილებისა თუ გემოვნებისა, არის ვალდებული, დაემორჩილოს კანონის აღსრულებას“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

თბილისის მერმა, კახა კალაძემ კი თქვა: **„სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ გვაქვს გაჯერებული კანონის პატივისცემა, რაც ერთმანეთისა და სახელმწიფოს უპატივცემულობას იწვევს. ზოგადად, ახლაც და მომავალშიც, დიალოგსა და ნორმალურ ცივილიზებულ ურთიერთობას ალტერნატივა არ აქვს. ერთადერთი, რაც პოლიტიკური პარტიებისთვის, სახელმწიფოს, ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის, წინსვლისთვის, მომავალზე ფიქრისთვის, ყველაზე დიდი პრობლემა, ეს არის რადიკალიზმი, რაც ამ ქვეყანაში უნდა დასრულდეს. ჩვენი გუნდის მთავარი ამოცანა და მიზანია, რაც შეიძლება სწრაფად გავხდეთ იმ დიდი ოჯახის წევრი, რასაც ევროპა ჰქვია. არასწორია, თითქოს, ჩვენ ამ გზას გადავუხვიეთ. მთავარი ამოცანაა, რაც შეიძლება, სწრაფად გავხდეთ ამ დიდი ოჯახის წევრი ქვეყანა“.**

ერთი სიტყვით, რაც უნდა ვთქვათ და ვამტკიცოთ, ფაქტი სახეზეა: ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი კულმინაციას მიუახლოვდა. ასე დიდხანს რომ ვერ გაგრძელდება, ესეც ფაქტია.

სად და რა არის გამოსავალი? – ზოგი ამბობს, რომ გამოსავალი ვადამდელი არჩევნებია. ამ აზრს, სხვათა შორის, „ოცნების“ ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, მიხეილ ჯანელიძეც იზიარებს, რომელმაც სოციალურ ქსელში დაწერა:

„ერთადერთი სწორი ნაბიჯი არის ხელახალი არჩევნები! ერთმანეთზე ძალის დემონსტრირება არის სირცხვილი და დამღუპველი. გვეყო ერთ წრეზე სიარული, სადაც მიგვიყვანა, ყველა კარგად ვხედავთ“.

ოპოზიციაც ვადამდელ არჩევნებს ითხოვს. ხელისუფლება, დღევანდელი მონაცემებით, ამ დათმობაზე წასვლას არ აპირებს. ასე რომ, „თებერვლის საგიჟეთის“ ბოლო როგორი იქნება, ამის თქმა, ჯერჯერობით, ძნელია, თუმცა ანალიტიკოსთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ მარტში ვითარება სტაბილიზაციისკენ წავა და აპრილში, ბევრი პოლიტიკური სიახლის მომსწრენი გავხდებით.

ეკა ხოფერიას უწყებაში საბიუჯეტო სახსრები გაიფლანგა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სკანდალური დასკვნა

2020 წლის ბოლოს, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრად ჟურნალისტი ეკა ხოფერია დანიშნეს. გარდა იმისა, რომ ეკას დედა აფხაზეთიდანაა და მთელი ბავშვობა იქ აქვს გატარებული, ახლო ნათესავები – დეიდა, ბიძები და ბებია დღემდე აფხაზეთში ცხოვრობენ. შესაბამისად, მინისტრის პოსტი ეკა ხოფერიამ საკმაოდ კარგი კავშირებით ჩაიბარა. რაც მთავარია, მას ბევრი საინტერესო გეგმა და პროექტი აქვს განსახორციელებელი. ვიდრე ახლადდანიშნული მინისტრი სამომავლო გეგმებს დეტალურად გაგვაცნობს, სამინისტროში მას საკმაოდ სერიოზული ფინანსური პრობლემა დახვდა. საქმე ისაა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მორიგი ანგარიში გამოაქვეყნა. ესაა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს პროგრამებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი, რომელიც 2019 წლის პერიოდს ეხება. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ უწყებაში ხარვეზებია, როგორც პროგრამულ ხარჯებში, ასევე, ქვეპროგრამების განხორციელებასა და სახელმწიფო შესყიდვებში.

დარღვევები პროგრამულ ხარჯებში

ქვეპროგრამა „აფხაზეთის დღის“ ფარგლებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით, აფხაზეთის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები 22-25 მაისს, ბათუმში უნდა ჩატარებულიყო, თუმცა სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის რეზოლუციით, აპარატის უფროსმა, განათლების სამინისტროს წერილის საფუძველზე სთხოვა, რომ ბათუმის ნაცვლად ღონისძიება ზუგდიდში, 2019 წლის 17 მაისს, აფხაზეთის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, სავაჭრო ცენტრ „რუხი მოლის“ ტერიტორიაზე გამართულიყო.

„ამის საფუძველზე, განათლების სამინისტრომ, შესყიდვების სააგენტოს, ელექტრონული პორტალის საშუალებით, წერილით მიმართა და სახელმწიფოებრივი, და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება მოითხოვა, რაზეც სააგენტოდან მიიღო უარი, მაგრამ ეს უარი არ გაუთვალისწინებია. გარდა ამისა, განათლების სამინისტრო შესყიდვების სააგენტოში გაგზავნილ წერილზე პასუხს არ დაელოდა და პირდაპირი დაფინანსების წესით გააფორმა ხელშეკრულება მთავრობის აპარატის უფროსის მიერ გაგზავნილ წერილზე თანდართული ინვოისის შესაბამისად – 17 818 ლარზე, შპს „ჯორჯიან ივენტსთან“, რომელიც გულისხმობდა კომპანიის მიერ სცენის გადახურვას, გახმოვანება-განათებასა და ორენოვანი ჰეშთეგის – „მე ვარ აფხაზეთი“ მოწყობას“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორებმა დაადგინეს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ინტერესთა შეუთავსებლობა წარმოიშვა: განათლების მინისტრის ბრძანებით, შეიცვალა ქვეპროგრამის აღწერილობა და 17 მაისს, უკვე ჩატარებული ღონისძიებების ჩამონათვალი დაფიქსირდა. აუდიტორების მტკიცებით, ეს ნიშნავს, რომ წლის დასაწყისში დამტკიცებული ქვეპროგრამა არ შესრულდა.

ხარვეზები ქვეპროგრამებში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ „კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი ქვეპროგრამები, წლის განმავლობაში, 16-ჯერ შეიცვალა, ქვეპროგრამა „სამუსიკო დიალოგი“ კი – ხუთჯერ. ეს უკანასკნელი გულისხმობდა სტამბოლში მცხოვრები ეთნიკური ქართველი, აფხაზი, ლაზი და კავკასიური წარმოშობის მუსიკოს-შემსრულებლების ჩამოყვანას თბილისში და გამასპინძლებას.

„ამ ღონისძიების ჩასატარებლად, სამინისტრომ გამოაცხადა ტენდერი ტურისტული მომსახურეობის სრულ პაკეტზე. ტენდერის გამოცხადების მომენტში, ქვეპროგრამით განსაზღვრული იყო სტუმრების ექსკურსია კახეთში, რაც გათვალისწინებული იყო ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრედენდენტთან დადებულ ხელშეკრულების თანხაშიც. მოგვიანებით, განათლების მინისტრის ბრძანებით, შეიცვალა ქვეპროგრამის ღონისძიებები, რის გამოც კახეთში ექსკურსიის ნაცვლად, სტუმრების თხოვნით, ექსკურსია გერგეთის სამებაში მოეწყო. მიუხედავად ამისა, ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან დადებულ ხელშეკრულებაში, შესაბამისი ცვლილებები არ შეუტანიათ“.

აუდიტის შედეგად ისიც გაირკვა, რომ წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში, ბიუჯეტით განსაზღვრული 47 699 ლარი ვერ აითვისეს:

„ქვეპროგრამა „მნიშვნელოვანი თარიღებისადმი მიძღვნილი შეხვედრების ორგანიზების“ ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებს შორის, არ განხორციელებულა „ქალის როლი საზოგადოებაში“, რომელზეც წლის დასაწყიში, 1 700 ლარი გამოყვეს. როგორც დადგინდა, აღნიშული გამოწვეული იყო იმით, რომ წლის მეორე ნახევარში გაუქმდა ის განყოფილება, რომელიც პასუხისმგებელი იყო ღონისძიების განხორციელებაზე“.

ეს ფაქტები, ქვეპროგრამის დაგეგმვის პროცესში, პოტენციური ბენეფიციარების დაინტერესებისა და მათი მოთხოვნების არასათანადოდ შესწავლაზე მიუთითებს, რამაც გამოიწვია პროგრამული ბიუჯეტით განსაზღვრული რესურსების არასრულად და არაეფექტიანად გამოყენება. მეტიც, სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების არასათანადო კონტროლის პირობებში, მათი არაეფექტიანად დაგეგმვისა და განხორციელების რისკები გამოიკვეთა.

სახელმწიფო აუდიტის შედეგად ისიც გაირკვა, რომ განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, ორი ქვეპროგრამა ხორციელდება: „აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია“ და „დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიები“. პროცედურულად, ეს ქვეპროგრამები კონკრეტული მიმართულების ღონისძიებებია და მათი ცალ-ცალკე წარმოდგენა, საბიუჯეტო სახსრების არაეფეტიანად ხარჯვის რისკებს ქმნის.

სამწუხაროდ, ქვეპროგრამების კლასიფიკაციაში, ეს ერთადერთი „შეცდომა“ არ ყოფილა. სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ქვეპროგრამა „სპორტულ ინიციატივათა მხარდაჭერის“ ფარგლებში, 2019 წლის 1 იანვრიდან მაისის ჩათვლით გაცემული თანხების შესახებ, საოქმო გადაწყვეტილებები არ არსებობდა. არადა, ამ პროგრამის ფარგლებში, ჯამში, 4 029 ლარი გადაირიცხა, საიდანაც 3 000 ლარი – ააიპ „საქართველოს ამერიკული ფეხბურთის ფედერაციას“, ხოლო 1 029 ლარი – შპს „ჯეოსპორტს“ ჩაურიცხეს.

ხარვეზები სახელმწიფო შესყიდვებში

დარღვევები გამოვლინდა სახელმწიფო შესყიდვებშიც. კერძოდ, ქვეპროგრამა „საახალწლო ზეიმი დევნილი ბავშვებისთვის“ ღონისძიების ფარგლებში, სსიპ „თეთრი ტალღის“ მომსახურება შეისყიდეს. მომსახურებაში იგულისხმებოდა საახალწლო ზეიმის ჩატარება დევნილი ბავშვებისთვის თბილისსა და ზუგდიდში. სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ღირებულება აღემატებოდა შესყიდვების კანონმდებლობით დაწესებულ მონეტარულ ზღვარს, ხოლო ქვეპროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, აღნიშნული აქტივობა წარმოადგენდა ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურებაზე გაწეულ ხარჯს. შესაბამისად, მომსახურების შესაძენად უნდა გამოცხადებულიყო ელექტრონული ტენდერი, რაც არ განხორციელებულა.

აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ „საახალწლო ზეიმი დევნილი ბავშვებისთვის“, თავდაპირველად, ბიუჯეტში 8 000 ლარი გამოყვეს. ამ ქვეპროგრამის ფარგლებში, საახალწლო ღონისძება თბილისში, განათლების სამინისტროს შენობაში არსებულ დარბაზში უნდა ჩატარებულიყო, თუმცა განათლებისა და კულტურის მინისტრის ბრძანებით, ქვეპროგამის მასშტაბი შეცვალეს და თბილისის გარდა, ეს ღონისძიება ზუგდიდში, ფოთსა და ქუთაისშიც დაგეგმეს.

„ღონისძიების ფარგლებში, ელექტრონული ტენდერის გამოცხადების გარეშე შეისყიდეს სსიპ „თეთრი ტალღის“ მომსახურება, რაც გულისხმობდა საახალწლო ზეიმის ჩატარებას დევნილი ბავშვებისათვის – ჯამში, 2300 ბენეფიციარისთვის თბილისსა და ზუგდიდში. მომსახურების ღირებულება 6 130 ლარი იყო, რაც აღემატებოდა შესყიდვების კანონმდებლობით დაწესებულ მონეტარულ ზღვარს – 5 000 ლარს. ეს ნიშნავს, რომ ელექტრონული ტენდერი უნდა გამოცხადებულიყო“.

სამინისტროს საფინანსო სამსახურის წარმომადგენლებმა სახელმწიფო აუდიტორებს განუცხადეს, რომ მსგავსი ტიპის ეკონომიკური მოვლენა განსხვავდება შესყიდვების კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტისაგან და წამოადგენს დაფინანსებას. აუდიტის ჯგუფმა საკითხი შეისწავლა და ქვეპროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით დაადგინა, რომ ეს იყო საჯარო დაწესებულების მიერ, ქვეპროგრამის ფარგლებში შეძენილი საჭირო მომსახურება. შესაბამისად, ამ მომსახურების შესაძენად, ელექტრონული ტენდერი უნდა გამოცხადებულიყო.

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ განათლების სამინისტროს მიერ წარდგენილი შესყიდვების წლიური გეგმა, ფაქტობრივად განხორციელებული წლიური ხარჯების მონაცემებს არ შეესაბამებოდა. კერძოდ, შესყიდვის 15 სხვადასხვა კოდზე, წლიურ გეგმაში დაგეგმილი იყო 41 151 ლარი, თუმცა ფაქტობრივად, აღნიშნული შესყიდვის კატეგორიით დადებულმა ხელშეკრულებების ხარჯმა შეადგინა 75 180 ლარი. შესაბამისად, წლიურ გეგმაში არ არის შეტანილი 34 029 ლარის ცვლილება, რაც მიუთითებს შესყიდვებში არსებული კონტროლის მექანიზმების მნიშვნელოვან ხარვეზებზე.

ახალი რუსული ბომბი – ოკუპირებული აფხაზეთის ტაძრებში ღვთისმსახურება დროებით შეწყდა!

თათია გოჩაძე
598-43-50-34



„ეს მოღალატეობრივი პოზიციაა“, – რამდენი დაჯგუფება არსებობს აფხაზურ ეკლესიაში და რატომ დუმს საქართველოს საპატრიარქო

რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის ტაძრებში ღვთისმსახურება დროებით ანუ იქამდე შეწყდა, ვიდრე ე.წ. აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსი არ განისაზღვრება. ტაძრები არ დაკეტილა და შესვლა ყველა მომლოცველს შეუძლია, – ამ ინფორმაციას, „რია ნოვოსტიზე“ დაყრდნობით, „ექსკლუზივნიუსი“ ავრცელებს. რუსულ მედიას კი აღნიშნულ ინფორმაციას ე.წ. აფხაზეთის ეკლესიის მეთაური, ბესარიონ აპლია აწვდის.

„ღვთისმსახურებმა, რომლებიც გაშვებულნი არიან განსაზღვრულ ეპარქიებში, დაე, დააყენონ მღვდელმთავრების წინაშე აფხაზეთის ეკლესიის საკითხი, რომლებიც თავის მხრივ, დააყენებენ საკითხს პატრიარქ კირილთან, როგორ განვითარდეს მოვლენები სამომავლოდ. ოცდაათი წელი ასეთ ვითარებაში ყოფნა უკვე შეუძლებელია. ამიტომაც შევწყვიტე ტაძრებში მსახურება“, – ამბობს აპლია. მისივე თქმით, მეორე მსოფლიო ომის დროს, საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესია, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შემადგენლობაში კანონიკური გადაწყვეტილების გარეშე შეიყვანა. აპლია იმედოვნებს, რომ მოსკოვის საპატრიარქო გადაწყვეტს ოკუპირებული აფხაზეთის საეკლესიო ვითარებას და განსაზღვრავს მის სტატუსს: „რუსეთის ეკლესიის მიერ ხელდასხმული სასულიერო პირების კანონიკური სტატუსი უნდა განისაზღვროს. მთავარი ის არის, რომ ისინი აქ უნდა დაბრუნდნენ, აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის კონკრეტული სტატუსით. ჩვენ არ შეგვიძლია, ვიყოთ საქართველოს ეკლესიის ნაწილი, ჩვენ არ ვყოფილვართ საქართველოს ეკლესიის ნაწილი და ვერ ვიქნებით“.

ამ საკითხის გადასამოწმებლად, „ვერსიამ“ საქართველოს საპატრიარქოს მიმართა, მაგრამ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა, დეკანოზმა ანდრია ჯაღმაიძემ განგვიცხადა, რომ ამ საკითხს არკვევენ და პასუხი ჯერ არ აქვთ. ამიტომ, თეოლოგ ვლადი ნარსიას დავუკავშირდით, რომელიც განმარტავს, რომ აფხაზეთის ეკლესიას არ ჰყავს ადმინისტრაცია და იქ ორი, ე.წ. დაჯგუფებაა:

– ერთის მეთაური ბესარიონ აპლიაა, მეორე კი დოროთეიდ ბარისა და დავით სარსანიას დაჯგუფებაა. სარსანია საქართველოს ეკლესიაში ეკურთხა და გარკვეული მიზეზების გამო, იქ აღმოჩნდა. აპლიაც, ასევე, საქართველოს ეკლესიაში ეკურთხა, მაგრამ შემდეგ რუსების დაქვემდებარების ქვეშ აღმოჩნდა და რუსები მას იყენებენ, რათა ვითომ აფხაზეთის ეკლესიის სახელქვეშ, რუსული ინტერესები გაატარებინონ.

– ანუ, აპლია რუსეთის კაცია აფხაზეთში?

– დიახ, აპლია თვითმარქვიაა და აცხადებს, რომ წარმოადგენს აფხაზეთის ეკლესიას, თუმცა მას დიდი დაპირისპირება აქვს დოროთეიდ ბარისა და დავით სარსანიას ჯგუფთან. ეს შედარებით ახალგაზრდა ეროვნული ძალების მიერ მხარდაჭერილი ჯგუფი გახლავთ, რომელიც მოღვაწეობს ერთ-ერთ მონასტერში, ჰყავს დიდი მრევლი და საკმაოდ გავლენიანია, ამიტომ იმის თქმა, რომ იქ მღვდელმსახურება არ აღსრულდება, შეიძლება, რუსების პროვოკაციად ჩაითვალოს და გავრცელდეს მხოლოდ იმ სამრევლოებზე, რომლებსაც რუსეთი, აპლიას საშუალებით აკონტრლებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ აღსრულდება ეკლესიაში ლოცვა იქ, სადაც დავით სარსანიასა და ბარის მღვდელმსახურებაა. ასე რომ, ცენტრალიზებული ადმინისტრაცია იქ არ არის.

– ბატონო ვლადი, სარსანიას დაჯგუფებაც პრორუსულია?

– საკმაოდ რთული კითხვაა. თუ ნათლად დაინახავს, რომ მიიღებს რაღაც სტატუსს, არ ვიცი, საით წავა, მაგრამ დღეს პოზიციონირებს, როგორც არაპრორუსული, არამედ, უფრო კონსტანტინეპოლზე ორიენტირებული, რომელიც ფიქრობს, რომ აფხაზეთის ეკლესიას, როგორც ეროვნულ ინსტიტუტს, გააჩნია ლეგიტიმური საშუალება, მიმართოს კონსტანტინეპოლს და არა – რუსეთს, მაგრამ კონსტანტინეპოლმა რომ უარი უთხრას და რუსები დათანხმდნენ, ასეთ შემთხვევაში, რას იზამს ეს ხალხი, ამაზე პასუხი არ არის.

– მოკლედ, აპლიას მსგავსად, ცალსახად არ არის გამოხატული ამ ჯგუფის რუსული ვექტორი, არა?

– დიახ, ნამდვილად ასეა.

– გასაგებია... აფხაზეთის ეკლესიისთვის სტატუსის მინიჭების უფლება, სასულიერო კანონის მიხედვით, კონსტანტინეპოლის ეკლესიას აქვს?

– იცით, მათ შორის, უკრაინასთან მიმართებაში, არის საუკუნოვანი ტრადიცია და ეს უფლება კონსტანტინეპოლს, დაახლოებით, მე-5 საუკუნეში მიენიჭა. კონსტანტინეპოლს აქვს უფლება, მართლმადიდებლურ ეკლესიათა ოჯახში ითვლებოდეს უპირატესად, როცა საკითხი ეხება ავტოკეფალიის მინიჭებას და ა.შ. ამიტომ ეს უფლება, ცალსახად, აქვს კონსტანტინეპოლს. მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიათა ოჯახში, დღეს მიმდინარე პროცესები შეიძლება, სწორედ ამ კითხვით გავყოთ შუაზე, რომ რუსეთს აქვს ამბიცია, მაგრამ არ აქვს ის უფლება, რაც ისტორიულად კონსტანტინეპოლს აქვს.

– ბატონო ვლადი, ამ ამბავს წინ უძღოდა სკანდალური ვერსია, რომ შესაძლოა, საქართველოს პატრიარქი, ილია მეორე ტახტიდან გადაეყენებინათ. გასაგებია, რომ ასე არ მოხდა, მაგრამ ამ ორ საკითხს შორის, რაიმე ლოგიკურ კავშირს ხედავთ?

– არ ვიცი, რატომ გაავრცელეს პატრიარქის გადადგომაზე ინფორმაცია, ძალიან არარელური იყო. არ შეიძლება, რაღაც კავშირებზე ილაპარაკო, როცა თავიდანვე იცი, რომ ამის თქმა სისულელეა.

– კეთილი. საქართველოს ეკლესიას რა ბერკეტი აქვს აფხაზური ეკლესიის სტატუსის საკითხის განსაზღვრაში?

– ერთადერთი ლეგიტიმური ორგანოა, რომელსაც აქვს ეს ბერკეტი. როცა საქართველოში ჩამოვიდა რუსეთის ეკლესიის საგარეო საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელი, ალფაევი და თქვა, რომ რუსეთი დაპატიჟებს ქართველებსა და აფხაზებს მოლაპარაკების მაგიდასთან, მაშინვე ვთქვი, რომ რუსეთს არ აქვს უფლება, შემოვიდეს მედიატორად, რადგან ის განიხილება, როგორც მხარე და პროვოკატორი ამ საკითხებში. ერთადერთი უფლება აქვს საქართველოს ეკლესიას, რომელიც ამ უფლებას არ იყენებს და ათეული წლებია, ერთი ღონისძიებაც კი არ გაუმართავს ამ პრობლემაზე სასაუბროდ.

არის უამრავი საერთაშორისო პლატფორმა, სადაც შეიძლება, რელიგიური მედიატორები ჩაერთონ და რაღაც დონეზე მაინც, ფასილიტაცია გასწიონ, მაგრამ არაფერს აკეთებს საპატრიარქო და პირდაპირ ჩანს, რომ აქვს ერთგვარი ინტერესი, ითამაშოს რუსული, რაც დადასტურდა კიდეც... როცა ვეუბნებოდი, ჩაგვერთო კონსტანტინეპოლი, მანამდე საპატრიარქოს უნდოდა, რუსეთისთვის მიეცა დროებით მმართველობის უფლება და რადგან ამაზე განგაში ავტეხეთ, შეიკავა თავი. რადგან ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ, რუსეთს გადავცეთო და დღემდე აქვს ასეთი პოზიცია საქართველოს ეკლესიას...

არ ვიცი, ამას რა ჰქვია, ალბათ, თამამად და გულწრფელად უნდა ითქვას შეფასება – მოღალატეობრივი პოზიციაა, როცა საკუთარი ინტერესების გაწევის ხარჯზე, იმისთვის, რომ არსებობს რაღაც ფარული გარიგება თუ კავშირი რუსეთთან და ეს არის დახურულ კარს მიღმა შეთანხმება, რომ არ გამწვავდეს ეს საკითხი, წირავენ არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ, საეკლესიო ინტერესსაც.

გერმანიაში სამუშაოდ წასულ ქართველებს ხელფასი საქართველოში დაერიცხებათ და საშემოსავლოც ჩამოეჭრებათ

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ყველაფერი ის, რაც გერმანიაში დასაქმების მიზნით წამსვლელებმა უნდა იცოდეთ!

15 თებერვლიდან, საქართველოს მოქალაქეების გერმანიაში, დროებით, ლეგალურ დასაქმებაზე რეგისტრაცია დაიწყო. დასაქმება სოფლის მეურნეობის სექტორში, სეზონურ სამუშაოებზეა შესაძლებელი, რაც სხვადასხვა სეზონური მოსავლის აღებას გულისხმობს. გერმანიის შრომის ბაზარზე, საქართველოს მოქალაქეებს დროებითი ლეგალური დასაქმება სამი თვით შეეძლებათ. სეზონური სამუშაოები 1 აპრილიდან დაიწყება. დასაქმების მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

18-დან 60 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქე; გერმანიაში გამგზავრებამდე სამი თვით ადრე პერიოდში, არ უმოგზაურია შენგენის სივრცეში; ფიზიკური ჯანმრთელობა; მოსავლის აღების სამუშაო გამოცდილება და მოტივაცია; ნებისმიერი მიზეზის (დარღვევის) არარსებობა, რაც იწვევს ქვეყანაში ხელახლა შესვლის შეზღუდვას; გერმანული ან ინგლისური ენის ელემენტარულ, საკომუნიკაციო დონეზე ცოდნა (ჯგუფურად დასაქმების შემთხვევაში, აუცილებელია, მინიმუმ ერთ წევრს შეეძლოს გერმანულ ან ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია). ენის ცოდნის მოთხოვნას განსაზღვრავს დამსაქმებელი. რეგისტრაცია შესაძლებელია მთელი წლის განმავლობაში პორტალზე: https://workabroad.moh.gov.ge/

„დროებითი სეზონური დასაქმება საქართველოსა და გერმანიას შორის დადებული შეთანხმების ფარგლებში ხორციელდება. გერმანიასთან ერთად, საქართველოს მოქალაქეები, მალე საფრანგეთსა და ისრაელშიც შეძლებენ დასაქმებას“, – ეს განცხადება ემიგრანტთა ასოციაციის ხელმძღვანელმა, ლევან სიმონიშვილმა, ჯანდაცვის მინისტრ ეკატერინე ტიკარაძის განცხადებაზე დაყრდნობით გააკეთა. საზღვარგარეთ დასაქმების დეტალების გასარკვევად, „ვერსია“ ლევან სიმონიშვილს დაუკავშირდა, რომელიც ამჟამად ესპანეთში ცხოვრობს:

– ახალი ამბავი არაა ისრაელსა და საფრანგეთში დასაქმება, რადგან მოლაპარაკება საფრანგეთთან 2018 წელს დაიწყო. მემორანდუმი გაფორმდა, ეს პროექტი პარლამენტმა დაამტკიცა და პრეზიდენტმა ხელიც მოაწერა. ახლა, ყველაფერი ეს განახლდა და ვფიქრობ, წლის ბოლომდე, საფრანგეთში დასაქმება შესაძლებელი იქნება. 2020 წლის 1 ოქტომბერს კი, ისრაელის ელჩმა საქართველოში, ეკატერინე ტიკარაძესთან ერთად, შრომის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და მემორანდუმიც გაფორმდა. პანდემიიდან გამომდინარე, ისრაელში „ლოქდაუნი“ მეორედ გამოცხადდა, თუმცა ახლა ისრაელი რეაბილიტაციასა და საზღვრების გახსნას ნელ-ნელა იწყებს ანუ 1 მარტიდან, ისრაელში 2000 ადამიანზე მეტს შესვლა არ შეეძლება და თუ ვინმეს გამგზავრება უნდა, კოვიდპასპორტის წარდგენის შემთხვევაში, უპრობლემოდ შევა. ასე რომ, ვფიქრობ, წლის ბოლომდე დასაქმება ისრაელშიც შესაძლებელი იქნება. ასევე, შეიძლება იყოს კიდევ ორი სხვა ქვეყანა, სადაც საქართველოს მოქალაქეები დასაქმდებიან.

– თქვენი ინფორმაციით, ისრაელსა და საფრანგეთში რა ტიპის დასაქმება იქნება შესაძლებელი?

– ისრაელთან დაკავშირებით ითქვა, რომ შესაძლებელი იქნება მოხუცების მოვლა და ოჯახის დამხმარედ დასაქმება. თუ იქნება კვალიფიციური მედპერსონალი, ამ სფეროშიც იქნება სამსახურები, მაგრამ ძირითადად, ოჯახის დამხმარედ შეძლებენ დასაქმებას. საფრანგეთის შემთხვევაში ჯერ არაფერი თქმულა, მაგრამ ვფიქრობ, გერმანიის მსგავსად, აგრარული სფერო იქნება და არაა გამორიცხული, ოჯახში დამხმარედ დასაქმებაც იყოს შესაძლებელი.

– საქართველოს მოქალაქეებს ევროპის ქვეყნებში სამთვიანი მოგზაურობის უფლება ისედაც აქვთ, მაგრამ დასაქმების – არა. ეს პროგრამა ლეგალურად დასაქმების შესაძლებლობას იძლევა?

– დიახ. ვიზალიბერალიზაცია საქართველოს მოქალაქეთა დასაქმებას ევროპის წევრ და შენგენის ზონის ქვეყნებში არ გულისხმობს. სამი თვის განმავლობაში, ჩვენ მხოლოდ მოგზაურობის უფლება გვაქვს და თუ ვინმე დასაქმდება, მხოლოდ არალეგალად. არალეგალურ დასაქმებასა და ხელშეწყობაზე კი კანონები გამოვიდა, რომლითაც ის პირი, ვინც დაეხმარება და დაასაქმებს არალეგალს, დაისჯება. ამ პროგრამით, საქართველოს მოქალაქეებს ეძლევათ საშუალება, ლეგალურად დასაქმდნენ. ამაში ჩართულია ეკონომიკის, საგარეო საქმეთა სამინისტროები და ხდება აპლიკანტების გადარჩევა. შემდეგ, დიდი ალბათობით, დაინიშნება გასაუბრება და შეირჩევიან კონკრეტული ადამიანები. რა თქმა უნდა, ყველა მსურველი ვერ შეძლებს წასვლას იმიტომ, რომ აპლიკანტებს გადაარჩევენ, სადაც ყურადღებას მიაქცევენ მოგზაურობის ისტორიას ევროპაში, ასევე, იმას, აქვს თუ არა, რაიმე სამართლებრივი გადაცდენა...

– ყურადღება საბანკო ისტორიასაც მიექცევა?

– ჩემი აზრით, ამ საკითხსაც დიდი ყურადღება მიექცევა. ვისაც კრედიტი აქვს, ვფიქრობ, წასვლის უფრო მეტი პრივილეგია ექნება, რომ ვალის დაფარვაში მიეხმაროს ეს სამუშაო. საგულისხმოა, რომ იქ ხელფასს ხელზე არ აიღებენ და დაერიცხებათ საქართველოში.

– ანუ, გერმანიიდან ხელფასი საქართველოში გადმოერიცხებათ?

– საკვებისა და საცხოვრებლის თანხა ხელფასიდან ჩამოეჭრებათ. დანარჩენი თანხა კი საქართველოში გადმოირიცხება. კონტრაქტში შეიძლება ჩაიწეროს: კანონით გათვალისწინებული 8-9-საათიანი სამუშაო დღე, მაგრამ რეალურად, შესაძლოა, 10-12 საათის სამუშაო დაგხვდეთ, სადაც დამატებით ანაზღაურებას მიიღებთ. თუ სამუშაოს დასრულების შემდეგ, კიდევ რამდენიმე საათით გააგრძელებთ მუშაობას, ნაღდი ფულით, ზედმეტ ანაზღაურებასაც გადაგიხდიან. ოფიციალური ხელფასი უნდა გადმოირიცხოს, გატარდეს ფინანსთა სამინისტროში, დაიბეგროს და ჩამოიჭრას საშემოსავლო. ამ თანხის გამოყენება იქაც შეიძლება და საქართველოშიც.

– ისე, გერმანიაში, საათობრივ ანაზღაურებად 9.5 ევრო დასახელდა, ეს რამდენად სახარბიელო ხელფასია?

– ეს ევროპისთვის სტანდარტული ანაზღაურებაა. მე ესპანეთში ვცხოვრობ და ნორმალური ხელფასი, საათში 10 ევროა. შეიძლება, 12 ან 15 ევრო იყოს, მაგრამ გააჩნია, სად ხარ დასაქმებული. როგორც მაქვს ინფორმაცია, სასოფლო-სამეურნეო სფეროში, საათში 10 ევროზე მეტი არავის აქვს. აქ, ძირითადად, ზეთისხილის კრეფაა, რაზეც მაქსიმალური ანაზღაურება 9 ევროა საათში და ძალიან კარგი ხელფასია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ წასულებიდან, დაახლოებით, 20%, ალბათ, უკან დაბრუნდება, რადგან, ვფიქრობ, ვერ შეძლებს სამუშაოს შესრულებას. ზოგს ძალიან მარტივი ჰგონია, ზოგს საერთოდ არ აქვს ნამუშევარი და თუ კონკრეტული გამოცდილება არ გაქვს, რთულია. მაგალითად, ვენახში რომ შეგიშვებენ გასასხლავად და არ გეცოდინება, გააფუჭებ ვაზს. ამიტომ როდესაც აპლიკაციას ავსებ, იქ არის კითხვები, კონკრეტულ სფეროში რა გამოცდილება გაქვს და რა იცი.

– ალბათ, იქ სპეციფიკურ ტექნიკაზე მუშაობაც იქნება საჭირო, არა?

– დიახ, ხელით სამუშაო არ იქნება. ამიტომაა, რომ აუცილებლად ითხოვენ მინიმალურ დონეზე, ინგლისურისა და გერმანულის ცოდნას.

– ბატონო ლევან, რას ურჩევთ საზღვარგარეთ დასაქმების მსურველ საქართველოს მოქალაქეებს?

– დასაქმების პროგრამა მაქსიმალურად გამოიყენონ, მაგრამ არ დარჩნენ ევროპაში. მოლოდინი მაქვს, რომ ვინც წამოვა, იქიდან 40% დარჩება ემიგრანტად. არ მინდა, რომ საქართველო დაიცალოს. 60 000 ადამიანი უკვე დარეგისტრირდა წასვლის მსურველად და სანამ რეგისტრაცია დასრულდება, ალბათ, კიდევ უამრავი დარეგისტრირდება. ძალიან დიდი პოტენციალი გვაქვს, მაგრამ არ გვაქვს ხელშეწყობა საქართველოში, რომ ეს გამოვიყენოთ. მას, ვინც უყურებს, რომ შვილს შია, ურჩევნია, წავიდეს ევროპაში, მაგრამ ჩემი სურვილია, რომ საქართველო არ დაიცალოს. პირადად მე, მზად ვარ, ნებისმიერ ემიგრანტს გვერდით დავუდგე – რომ ჩამოვა, დავეხმარო, არავინ დავტოვო ქუჩაში და შესაბამისად დავაკვალიანო.

ეს ინტერვიუ აუცილებლად უნდა წაიკითხოთ – როგორ ყვლეფენ პაციენტებს საქართველოში?!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

რატომაა სახელმწიფოს მიერ ოპერაციების დაფინანსებაში გადახდილი ფული წყალს გატანებული და რა პრობლემებს აწყდებიან ადამიანები ოპერაციის შემდეგ

საქართველოს მთავრობა მუშაობს კანონპროექტზე, რათა ქვეყანაში ხარისხიანი მედიკამენტები ხელმისაწვდომ ფასად შემოვიდეს. ამის შესახებ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, ეკატერინე ტიკარაძემ პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა. მანამდე, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარიამაც აღნიშნა, რომ ჯანდაცვის რეფორმა ბოლომდეა მისაყვანი და მთავრობამ ამ პრობლემის მოგვარებაზე უნდა იზრუნოს, განსაკუთრებით, მედიკამენტების ხელმისაწვდომობის ნაწილში. ფაქტია, საქართველოში წამლები ძალიან ძვირია, იმდენად ძვირი, რომ სახელმწიფოს მიერ ამა თუ იმ ოპერაციის დასაფინანსებლად გამოყოფილი საკმაოდ სოლიდური თანხაც კი წყალშია გადაყრილი. ის, რომ სახელმწიფო თავის მოქალაქეებს ეხმარება და საყოველთაო დაზღვევის პროგრამით ოპერაციებს უფინანსებს, საკმაოდ დიდი შეღავათია, ოღონდ ცოტა ხნით. როგორც კი პაციენტი საავადმყოფოდან ეწერება და ექიმის დანიშნულებით ხელში ამა თუ იმ აფთიაქში შედის, ხვდება, რომ გაცილებით დიდ პრობლემას გადააწყდა, ოღონდ ამ ეტაპზე მას უკვე აღარავინ ეხმარება. საკმაოდ ძვირადღირებული, მაგრამ აუცილებლად საჭირო მედიკამენტების შეძენა თავად უწევს, ეს იმდენად მძიმე ტვირთია, რომ უკვე ვეღარც ხვდება, სინამდვილეში, რა დახმარება გაუწია სახელმწიფომ, როდესაც მისი ოპერაცია დააფინანსა.

მაშ, ასე, „ვერსია“ იწყებს ჟურნალისტური მოკვლევის ციკლს, რომელიც ჯანდაცვის სფეროში არსებულ ამ სერიოზულ პრობლემას ეძღვნება და ყველა იმ ადამიანს ეხება, რომელმაც სხვადასხვა სირთულის ოპერაცია გაიკეთა, ან აუცილებლად უნდა გაიკეთოს. სხვათა შორის, სწორედ ეს პრობლემაა ძირითადი მიზეზი, რის გამოც საშუალო შემოსავლების მქონე ოჯახი, თუნდაც ერთი წევრის მძიმე ავადმყოფობის გამო, უკიდურესად ღარიბდება. „ვერსიის“ გამოძიების პირველი სტუმარი, დამოუკიდებელი პოლიტიკოსი ლევან კობერიძეა, რომელიც პროფესიით ექიმი გახლავთ.

– ბატონო ლევან, ჯანდაცვის რეფორმის უმთავრეს პრობლემაზე უნდა ვისაუბროთ, როდესაც პოსტოპერაციის პერიოდში პაციენტი ექიმის დანიშნულების შესრულებას იწყებს. დამეთანხმებით, რომ ამას გვერდს ერთი პაციენტიც ვერ აუვლის, მნიშვნელობა არ აქვს, რა სირთულის ოპერაცია გაიკეთა, ექიმის დანიშნულება აუცილებლად უნდა შეასრულოს ანუ ის მედიკამენტები უნდა იყიდოს, რომელიც საავადმყოფოდან გაწერის დროს ექიმმა დაუნიშნა. პირდაპირ ვთქვათ, ერთი მხრივ, სახელმწიფო ეხმარება ოჯახს, როდესაც ოპერაციას აფინანსებს, რაც ძალიან დიდი დახმარებაა, მეორე მხრივ კი, ფარმაცევტული კომპანიები ატყავებენ იგივე პაციენტს, რადგან მედიკამენტები ძალიან ძვირია. თითქოს ერთგვარი ჩიხია, სად არის გამოსავალი?

– დიახ, უნდა დავიწყოთ ამ საკითხზე მსჯელობა იმიტომ, რომ ეს მნიშვნელოვანი პრობლემა და ჩემი აზრით, ხარვეზია. სწორად აღნიშნეთ, სახელმწიფო ბიუჯეტი ანუ ჩვენი საერთო თანხა ხმარდება პაციენტს ერთ ეტაპზე, მაგრამ მეორე ეტაპზე, რომელიც მისი გამოჯანმრთელების განუყოფელი ნაწილია, სახელმწიფო მოქალაქეს ვეღარ მიჰყვება. სამწუხაროა, რომ ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის სიკეთეს, რომელმაც პირველ ეტაპზე, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, მეორე ეტაპზე, როდესაც ფაქტობრივად, მარტო რჩება ადამიანი, ვეღარ ხედავს. მეტიც, უკმაყოფილოც კი რჩება, რადგან საკუთარი ჯიბიდან უწევს აუცილებლად საჭირო მედიკამენტების შეძენა.

როგორც წესი, მძიმე დაავადებების, განსაკუთრებით, ონკოლოგიური დაავადებების შემთხვევებში, მედიკამენტები საკმაოდ ძვირია. ერთია, რომ პაციენტი უკმაყოფილოა, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ შესაძლოა, მას უბრალოდ, წამლის შესაძენად ფინანსური საშუალება არ აქვს და ფაქტობრივად, წყალში გადაყრილია ის დახმარება, რაც ოპერაციის დაფინანსების სახით, სახელმწიფოსგან მიიღო.

რეალურად, არ შეიძლება, რომ სახელმწიფო დახმარება მხოლოდ ერთი ეტაპით შემოიფარგლოს. არ შეიძლება, დახმარება ეტაპებად დაიყოს, რადგან ოპერაციული ჩარევა ერთი ნაწილია, ხოლო პოსტოპერაციული პერიოდის მართვა და მკურნალობა – მეორე. შესაბამისად, მთავარი ორიენტირი უნდა იყოს არა ის, რა ოდენობის თანხით დაეხმარა სახელმწიფო ადამიანს, რაც ნამდვილად კარგია, მაგრამ საბოლოოდ, პაციენტის გამოჯანმრთელება, მისი განკურნება მნიშვნელოვანია. გამოდის, რომ ბიუჯეტიდან თანხა იხარჯება, მაგრამ პაციენტი ვერ ჯანმრთელდება, რადგან მედიკამენტების შესაძენი ფული აღარ აქვს. ამ შემთხვევაში, მთავრობის მიერ, ამ პროცესის არასწორი მართვა იკვეთება, რაც სერიოზული პრობლემაა.

– პოსტოპერაციული პერიოდის მართვა საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესია. რეალურად, ასეთ სურათს ვიღებთ: ოპერაცია, რომელიც სახელმწიფოს დახმარებით გაკეთდა, თითქოს აღარაფერს ნიშნავს, რადგან პაციენტსა და მისი ოჯახს აღარ შესწევს უნარი, ეს პროცესი მართოს – ამ ეტაპზე, უკვე აღარავინ ეხმარება, არადა, საკმაოდ ძვირადღირებული მედიკამენტები სჭირდება. როგორ უნდა მოიქცეს მოქალაქე?

– აბსოლუტურად სწორად აღწერეთ ფაქტი. ოპერაცია მხოლოდ ერთი ნაწილია, ამის შემდეგ, პაციენტები საკუთარი ოჯახის წევრების მარიფათის ამარად რჩებიან – შეძლებენ კი, ოჯახის წევრები დამატებით, მუნიციპალური პროგრამების საშუალებით, გარკვეული თანხის მიღებას? ბუნებრივია, ამას ერთეულები ახერხებენ, ბევრს არ შეუძლია, არც ინფორმაცია აქვს და ისიც არ იცის, ვის მიმართოს, ამიტომ უსამართლობის განცდა ჩნდება. შესაბამისად, მიდგომა დიფერენცირებული კი არა, უნივერსალური უნდა იყოს. ამ უნივერსალურობისთვის მთავარი ისაა, რომ მთავრობამ ამ პროცესს შეხედოს არა ნაწილ-ნაწილ, არამედ, მთლიანობაში.

გიმეორებთ, მთავარი მიზანი უნდა იყოს პაციენტის გამოჯანმრთელება. მსგავსი ტიპის პროგრამების ეფექტიანობა უნდა იზომებოდეს არა პაციენტების რაოდენობით ანუ მშრალი სტატისტიკით, რამდენი ადამიანის ოპერაცია დაფინანსდა, არამედ, გამოჯანმრთელდნენ თუ არა ეს პაციენტები საბოლოოდ! თუ ასე არ არის, გამოდის, რომ სახელმწიფოს მიერ, ოპერაციისთვის გამოყოფილი თანხა გადაყრილია!

ერთ ეტაპზე, ადამიანს იმედი ეძლევა, რომ თუ ოპერაციას გაიკეთებს, უკეთ გახდება, იღებს კიდეც სახელმწიფო დაფინანსებას და კიდევ უფრო მეტი იმედი ეძლევა, მაგრამ ოპერაციის შემდეგ, ფინანსური პრობლემების გამო, მკურნალობის პროცესი ბოლომდე ვერ მიჰყავს, რადგან წამლები ძალიან ძვირია! უკვე აღარც სახელმწიფო ეხმარება და შესაძლოა, ტრაგიკული შემთხვევაც კი მივიღოთ.

სიმართლე გითხრათ, იმ თემებზე მეტად, რაც თითქოსდა, აქტუალურია დღეს, ყველაზე მნიშვნელოვნად, სწორედ ეს საკითხი მიმაჩნია. სამწუხაროდ, ამაზე არსად, არავინ აღარ მსჯელობს – არც პარლამენტის შესაბამის კომიტეტში და არც მედიაში. კარგია, რომ თქვენ ეს თემა წამოსწიეთ. რეალურად, მოსახლეობისთვის ეს საკითხი უფრო მნიშვნელოვანია და არა ის, შევა თუ არა ვიღაც პოლიტიკოსი პარლამენტში.

– ძალიან სერიოზულ პრობლემაზე ვსაუბრობთ, მაგრამ როგორც წესი, გადაუჭრელი პრობლემა არ არსებობს, საბოლოოდ, ყველა ლაბირინთიდან არის გამოსასვლელი. მაინტერესებს, ევროპისა და აშშ-ს გამოცდილება ამ მხრივ ანუ როგორ უნდა დაეხმაროს სახელმწიფო პოსტოპერაციის დროს, პაციენტს მედიკამენტების შეძენის ნაწილში?

– ისე რომ არ გამოგვივიდეს, თითქოს მხოლოდ ჯანდაცვის სისტემაში არსებულ ხარვეზებს ვაკრიტიკებთ, გამოსავალზეც ვისაუბროთ. ზოგადად, სრულყოფილი სისტემა არ არსებობს, მაგრამ ხარვეზი რომ არის, აუცილებლად უნდა დავინახოთ და ვაღიაროთ. ხარვეზი იმიტომ კი არ არის, რომ ვიღაც ცუდია, ან კარგია, არა!

დასასრული მე-8 გვერდზე

ეს ინტერვიუ აუცილებლად უნდა წაიკითხოთ – როგორ ყვლეფენ პაციენტებს საქართველოში?!

მე-7 გვერდიდან

იმიტომაა, რომ სწორ გადაწყვეტილებამდე არ მივსულვართ! ჩემი შეთავაზება, რასაც უახლოეს წლებში უნდა დაემყაროს ჯანდაცვის რეფორმა საქართველოში, საყოველთაო და სავალდებულო დაზღვევაა, როდესაც აბსოლუტურად ყველა მოქალაქე დაზღვეულია! საერთაშორისო პრაქტიკაზე მკითხეთ, შესაბამისად, გერმანიის, შვეიცარიის, ავსტრიის მაგალითებზე დაყრდნობით, გამოსავალი, სწორედ ესაა!

საყოველთაო და სავალდებულო დაზღვევა ნიშნავს, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე დაზღვეულია, ოღონდ პენსიონერს, სოციალურად დაუცველ ფენას და ნაკლებშემოსავლიან ოჯახებს, დაზღვევის თანხას უფარავს სახელმწიფო. ოპერაციის დაფინანსების ნაცვლად, მით უმეტეს იმ პრობლემის გათვალისწინებით, რაზეც ახლა ვსაუბრობთ, უმჯობესი იქნება, დაზღვევის თანხა გადაუხადოს სახელმწიფომ ამ ადამიანებს და ფინანსური ტვირთი, რომელიც ახლა სახელმწიფო ბიუჯეტს აწვება, სადაზღვევო კომპანიებზე გადავიდეს. ფაქტობრივად, სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ფინანსური ვალდებულებები ჩამოეხსნება.

ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან კი არ დაფინანსდება ოპერაციები, არამედ, ამ ტვირთს კერძო სექტორი და სახელმწიფო გადაინაწილებენ. ეს რეფორმა აუცილებლად უნდა გატარდეს ქვეყანაში, რადგან ვფიქრობ, რომ სწორი მოდელია. ვთავაზობ მთავრობას, ამ მხრივ, გარკვეული ნაბიჯები გადადგას და დაიწყოს დიალოგი, რადგან ეს არის თემა, რომელსაც შეუძლია სისტემურად მოაგვაროს ის პრობლემა, რაზეც ახლა, მე და თქვენ ვსაუბრობთ.

თუ სისტემური რეფორმა გვინდა, ესაა! საქართველოს ყველა მოქალაქე უნდა დაეზღვიოს, ესაა ჩემი შეთავაზების მარტივი ფორმულა. ვის აქვს შესაძლებლობა, თვითონ გადაიხადოს დაზღვევის თანხა და ვის – არა, უკვე მსჯელობის საგანია, რა დროსაც დეტალურად უნდა განვიხილოთ ყველა ნიუანსი, მათ შორის, სადაზღვევო კომპანიების ნაწილში.

– როდესაც ამბობთ, რომ ყველა მოქალაქე უნდა დაეზღვიოს, პოსტოპერაციის შემდგომი პერიოდის დაზღვევასაც გულისხმობთ ანუ პაციენტი შეძლებს, მედიკამენტების შეძენას დაზღვევით?

– ძალიან საინტერესო კითხვაა. დაზღვევის ამ მოდელში, აუცილებლად უნდა შევიდეს წამლის კომპონენტი. ასეთ შემთხვევაში, საშუალება მოგვეცემა, რომ ბიუჯეტს ტვირთი ჩამოეხსნას. ისეთ შემთხვევებზე, რომლებზეც ახლა ვსაუბრობთ, რაც შესაძლოა, დაზღვევამაც კი ვერ დაფაროს, სახელმწიფო ბიუჯეტს გამოუთავისუფლდება თანხა. ოპერაციას დააფინანსებს არა სახელმწიფო, არამედ, სადაზღვევო კომპანია, სახელმწიფოს კი დარჩება თანხა, რათა წამლის შეძენის დროს, თანადაფინანსების პრინციპით დაეხმაროს კომპანიას. მარტივად რომ ვთქვათ, კერძო სექტორი შეეხიდება სახელმწიფო სექტორს, ჩვენი მოქალაქის გამოჯანმრთელების პროცესში, ესაა მარტივი ფორმულა.

რეალურად, ობიექტურები რომ ვიყოთ, უნდა ვაღიაროთ, არ ვართ მდიდარი ქვეყანა, რომ შეგვეძლოს უნივერსალური ჯანდაცვის რეფორმას მივაღწიოთ, მაგრამ რა ვქნათ? ამის გამო, მოქალაქეებს ხომ არ გავწირავთ სასიკვდილოდ? სასწრაფოდ დასაწყებია რეფორმა, როდესაც ყველა მოქალაქე დაზღვეულია – დიახ, სწოდედ ამ სახელს დავარქმევდი რეფორმას.

თუმცა აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს არ უნდა იყოს ის მახინჯი სისტემა, რაც ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების დროს გვქონდა, როდესაც სადაზღვევო კომპანიებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის მოპარვის საშუალება ჰქონდათ. არა, ეს უნდა იყოს ჯანსაღი სისტემა და ველოსიპედის გამოგონება არ არის საჭირო – გვაქვს ავსტრიის, გერმანიისა და შვეიცარიის მაგალითები, შეგვიძლია ამ ქვეყნებიდან ჩამოვიყვანოთ სპეციალისტები, რათა მათთან ერთად დავიწყოთ რეფორმა. მოვუწოდებ მთავრობას და ჯანდაცვის სამინისტროს, რომ ამ საკითხზე სასწრაფოდ დავიწყოთ მსჯელობა.

* * *

დედაჩემი პენსიონერია, 77 წლის, მაღალი არტერიული წნევითა და მეორე ჯგუფის დიაბეტით. წლებია, კარდიოლოგის, ნეფროლოგისა და ენდოკრინოლოგის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშაა, მაგრამ იშემიური დიაბეტური ტერფი მაინც განუვითარდა. პრობლემა მარჯვენა ფეხის ცერა თითიდან დაიწყო, მაგრამ საბოლოოდ, განგრენა განვითარდა. შესაბამისად, დეკემბერ-იანვარში, ორი, საკმაოდ მძიმე ოპერაცია დასჭირდა... აქედან გამომდინარე, ზუსტად ვიცი ეს პრობლემა, რომელზეც ვწერ, რადგან ჯანდაცვის სისტემაში არსებული სიკეთე, მთელი რიგი ხარვეზებითა და ხშირ შემთხვევაში, დარღვევებითაც კი, პირადად შემეხო.

პირველივე ოპერაციის შემდეგ, საავადმყოფოდან გამოწერისთანავე გავები ფარმაცევტული კომპანიების ლაბირინთებში. ვაღიარებ, გადაჭარბებული მეგონა წუწუნი მედიკამენტების სიძვირესთან დაკავშირებით. არადა, როგორც გითხარით, დედაჩემს ქრონიკული დაავადებები აქვს და წლების მანძილზე, ექიმების რეკომენდაციებით, ამ დაავადებებს ვმართავთ. შესაბამისად, ვიცი, რომ წამლები ძვირია, მაგრამ ისეთი კატასტროფული მდგომარეობაც არ მეგონა, როგორშიც აღმოვჩნდი. დავიწყოთ მარტივით, ოპერაციის შემდეგ (ძირითადად, ნარკოზის გამო), პაციენტს თრომბოემბოლია რომ არ დაემართოს, კლექსანის (დეფიციტშია და არ იშოვება), ან კლექსიპარინის ინექციები ენიშნება, მინიმუმ, ათი ამპულა გჭირდებათ. იცით, ერთი ამპულა რა ღირს? გეტყვით – 25 ლარი. ამას დაუმატეთ ანტიბიოტიკი, სხვადასხვა აუცილებელი მედიკამენტი, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით და ყველაზე მთავარი – ნაოპერაციევის დასამუშავებლად საჭირო ხსნარები, სახვევები და საფენები.

ახლა, შედარებით რთულ ნაწილზე გადავიდეთ. ოპერაციის შემდეგ, დედას საკმაოდ ძვირადღირებული მედიკამენტი „ქსარელტო“, ექვსი თვით დაუნიშნეს. ესაა სისხლის გამათხელებელი, რაც ფაქტობრივად, თრომბოემბოლიას გამორიცხავს. „ქსარელტო“ აბსოლუტურად ყველა აფთიაქში იყიდება, ოღონდ 200 ლარი ღირს. იმის გამო, რომ ექვსი თვით სჭირდება, მკურნალმა ექიმმა ფორმა №100 მოგვცა. ეს ფორმა №100 მივიტანე „ფარმადეპოში“, სადაც შემეძლო, „ქსარელტო“ იაფად, 75 ლარად შემეძინა. კომპანიამ თურქეთის ერთ-ერთ ფარმაცევტულ ქარხანაში შეუკვეთა „ქსარელტოს“ ის რაოდენობა, რაც ექვსი თვე გვჭირდება ანუ 7 კოლოფი, რადგან ერთ კოლოფში 28 ცალი აბია. ასე დეტალურად იმიტომ აღვწერე, რომ 75 ლარად „ქსარელტოს“ ვერ შეიძენთ, თუ მხოლოდ ერთი ან ორი თვით გჭირდებათ, რადგან ფორმა №100-ს ასეთ მცირე დოზაზე, არ მოგცემენ. დედაჩემს „გაუმართლა“, ექვსი თვით სჭირდებოდა, მაგრამ ვისაც ერთი ან ორი თვით აქვს დანიშნული, 200 ლარი უნდა გადაიხადოს.

– ბატონო ლევან, არის თუ არა ეს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევა?

– როდესაც ვხედავთ, რომ ბაზარზე საჭირო მედიკამენტის იმპორტს მხოლოდ ერთი კომპანია ახორციელებს, რა თქმა უნდა, კითხვის ნიშნები ჩნდება. შესაბამისად, ამ საკითხს შესწავლა და თვალ-ყურის მიდევნება სჭირდება. არ გამოვრიცხავ, რომ გარკვეული გარიგებაც არსებობდეს...

შეიძლება გახსოვთ, რომ მეცხრე მოწვევის პარლამენტში გავაპროტესტე ცვლილებები კანონში, როდესაც ე.წ. აღიარებული, პარალელური ქვენებიდან, იმპორტის პროცედურები გაართულა მთავრობამ, რადგან ამ ცვლილებებით კონკურენცია შეიზღუდა. საბოლოოდ, ამ მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია – ბაზარზე კონკურენცია უნდა არსებობდეს!

მხოლოდ მსხვილ კომპანიებს კი არა, ნებისმიერს, თუნდაც საშუალოსა და მცირეს უნდა ჰქონდეს უფლება, აღიარებული რეჟიმის ქვეყნებიდან, როგორებიცაა ევროკავშირის წევრი ქვეყნები, კანადა, ან შეერთებული შტატები, ეს პრეპარატი ან მისი ანალოგი შემოიტანოს. პატარა და საშუალო კომპანიები კონკურენციაში შედიოდნენ მსხვილ ქსელებთან და შემოჰქონდათ მედიკამენტები, სწორედ ეს შეიზღუდა იმ ცვლილებებით, რაც წინა მოწვევის პარლამენტში გავაპროტესტე.

რეალურად, არასწორი პოლიტიკა გვაქვს მედიკამენტებთან დაკავშირებით. წამლები იმიტომაა ძვირი, რომ მსგავსი ტიპის საკანონმდებლო ცვლილებებით, კონკურენცია ხელოვნურადაა შეზღუდული. თუ გვინდა, რომ ჩვენს ქვეყანაში ხარისხიანი მედიკამენტები იყოს, აღიარებული ქვეყნებიდან ხარისხიანი მედიკამენტები ხელმისაწვდომ ფასად უნდა შემოვიტანოთ. ამისთვის, საკანონმდებლო ბაზაში მნიშვნელოვანი რეფორმა უნდა გატარდეს.

სხვათა შორის, არც იმას გამოვრიცხავ, რომ სხვადასხვა ქსელს შორის, კარტელური შეთანხმებაც არსებობდეს. მოკლედ, ეს საკითხი თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტომ უნდა შეისწავლოს.

სამართალი
№4 24 თებერვალი 2021 წ

იტალიაში, საფრანგეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში, ათეულობით ქართველის დაკავების ექსკლუზიური დეტალები

ბათო ჯაფარიძე

როგორ დაიგეგმა ორი სკანდალური სპეცოპერაცია

იტალიაში ჩატარებული სპეცოპერაცია, რომლის დროსაც საქართველოს 55 მოქალაქე დააკავეს, ფართოდ არ გაშუქებულა. მხოლოდ გაკვრით ითქვა, რომ აღნიშნულ სპეცოპერაციაში, ევროპაში მყოფი საქართველოს პოლიციის ატაშეებიც მონაწილეობდნენ. რეალურად, კი არ მონაწილეობდნენ, არამედ, თავიდან ბოლომდე იყვნენ ჩართულნი. სპეცოპერაცია ექვსი თვის განმავლობაში მზადდებოდა და მისი კოდური სახელი „Kanonieri Qurdi“ იყო.

„სპეცოპერაცია – „Kanonieri Qurdi“, ექვსი თვის განმავლობაში მზადდებოდა. მასში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მყოფი საქართველოს პოლიციის ატაშეები. საქმე ის გახლავთ, რომ ევროპაში მყოფმა ქართველმა კრიმინალებმა ადგილობრივებზე იქორწინეს და როგორც გვარები, ისე სახელებიც შეიცვალეს. ამიტომ, მათი ვინაობის დადგენა ევროპელი სამართალდამცავებისთვის რთული იყო. სამაგიეროდ, ქართველმა ატაშეებმა მათი არა მარტო ნამდვილი სახელები და გვარები იცოდნენ, არამედ, ისინი თითოეულს სახეზეც კი იცნობდნენ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ რამდენიმე ათეული ტომი გამოგვიგზავნა და მათი იდენტიფიკაციისთვის საჭირო მასალა შეგროვდა. სპეცოპერაციის სახელწოდება – „Kanonieri Qurdi“-ც ქართველმა ატაშეებმა მოიფიქრეს, რაც ქართულ ენაზე, კრიმინალური სამყაროს უმაღლეს იერარქიულ საფეხურზე მყოფ პირს ნიშნავს“, – წერს იტალიური მედია.

იმავე დღეს, სპეცოპერაცია ჩატარდა საფრანგეთის ოთხ ქალაქში. სპეცოპერაციის კოდური სახელწოდება საფრანგეთში, „Bratva-35“ იყო (ესეც ქართველ ატაშეებს მოუფიქრებიათ) და როშ-სიურ-იორში, ანჟერში, ბორდოსა და რენში, საქართველოს 17 მოქალაქე დააკავეს. მათ შორის, „კანონიერი ქურდი“ კახა ალიშბაია (მეტსახელად, „კახა ზუგდიდსკი“). სხვათა შორის, ალიშბაია ის იშვიათი გამონაკლისია, რომელმაც საქართველო ძალიან ადრე, 90-იანი წლების მიწურულს დატოვა.

იმავე დღეს ანუ 9 თებერვალს, აღნიშნული სპეცოპერაციის ფარგლებში, პოლონეთში, საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს, საბერძნეთში, ბელგიასა და სლოვენიაში კი – თითო-თითო.

„ბოლო დროს, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში გახშირებული კრიმინალური შემთხვევების გამო, გაჩნდა იმის შესაძლებლობა, რომ საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლა შეეზღუდათ. ამიტომ, საქართველოს ხელისუფლებამ მაქსიმალურად ითანამშრომლა ევროპელ სამართალდამცავებთან და სპეცოპერაციაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო. ამით, ქართულმა მხარემ დაადასტურა მზაობა, რომ კრიმინალს ნებისმიერ დონეზე ებრძვის და მზად არის, დახმარება, როგორც დოკუმენტურად, ისე ადამიანური რესურსით გაუწიოს“, – ესეც იტალიურ პრესაში დაიწერა.

„როცა კეფაში მესვრით, გაიხსენეთ, რომ მთელმა სისტემამ ერთ ქალს ვერ აჯობა!“

ვინ არის ქალი, რომლისაც ყველას ეშინოდა და რომელსაც სამართალდამცავები 16 წელი ეძებდნენ

ბათო ჯაფარიძე

რამდენიც უნდა ვამტკიცოთ, რომ საბჭოთა კინემატოგრაფია სერიოზულ ცენზურას გადიოდა, ფაქტია: საბჭოთა კავშირის დროს, საკულტო ფილმები შეიქმნა და რაც მთავარია, ამ ფილმებს დღემდე სიამოვნებით უყურებს ნებისმიერი თაობის წარმომადგენელი. გამონაკლისი არც ქართული კინემატოგრაფია იყო – ყოველწლიურად, რამდენიმე ათეული ფილმი იქმნებოდა და მათ შორის, აუცილებლად გამოერეოდა ისეთი, რომელიც არა მარტო საყოველთაო მოწონებას, არამედ, საერთაშრისო აღიარებასაც იმსახურებდა, თუმცა იყო ისეთი ფილმებიც, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლება პროპაგანდისთვის უკვეთავდა და ერთ-ერთი ასეთი, „შავი ვოლგა“ გახლავთ, რომელიც ეკრანებზე 70-იანი წლების მიწურულს გამოვიდა. ფილმმა მაშინვე მოიპოვა წარმატება. სიუჟეტის მიხედვით, დამნაშავეთა ჯგუფი აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოს აზანზარებდა და ბანდა სწორედ შავი „ვოლგით“ გადაადგილდებოდა. მაშინ „ვაზ-21“ რიგით ადამიანებს, პრაქტიკულად, არ ჰყავდათ. ამიტომ, თითქოს ძნელი არ უნდა ყოფილიყო ავტომობილის მფლობელისა და შესაბამისად, ბანდის კვალზე გასვლა, მაგრამ საამისოდ, სამართალდამცავებს მრავალი წელი დასჭირდათ. უფრო კონკრეტულად კი, ისინი დამნაშავეებს 16 წლის განმავლობაში ეძებდნენ და მხოლოდ იღბლიანი შემთხვევის წყალობით დააკავეს.

ყველამ იცოდა, რომ ბანდის მეთაური, ვინმე ასლან ბენჯალი იყო, მეტსახელად, „ლომის თათი“, რომლისაც ყველას ეშინოდა. რამდენჯერმე სამართალდამცავებმა მოახერხეს ბანდის წევრების დაკავება, მაგრამ სულ რაღაც ორ თვეში, ბენჯალი ახალ ბანდას ქმნიდა და ახლიდან იწყებდა ტერორს. მის სამიზნეში, ძირითადად, მსხვილი საქმოსნები ხვდებოდნენ. მათ თავიდან, უბრალოდ, სთავაზობდნენ, სახელმწიფოსთვის ნაძარცვი ფულის ნაწილი საკუთარი ნებით დაეთმოთ, უარის შემთხვევაში კი ან სახლს ქურდავდნენ, ან უბრალოდ, აყაჩაღებდნენ. ათეულობით „ცეხავიკმა“ ფულის საკუთარი ნებით გადახდაზე თანხმობა თქვა და არც მილიციაში წავიდა, რადგან იქ უფრო მეტი კითხვები გაჩნდებოდა.

არა მარტო აზერბაიჯანის, არამედ, საქართველოსა და სომხეთის მასშტაბით, გადამოწმდა ყველა შავი „ვაზ-21“-ის მფლობელი, მაგრამ პატრონს ვერსად მიაგნეს. ეჭვს ერთი მათგანიც არ იწვევდა და სამართალდამცავები საგონებელში ჩავარდნენ. ყველაფერი კი მას შემდეგ გაირკვა, რაც ერთ-ერთი რეიდის დროს, „გაიშნიკმა“ მორიგი თეთრი „ვოლგა“ გააჩერა, შემთხვევით, საბარგულს დაადო ხელი და საღებავი აჰყვა. მანქანა ადგილიდან მოწყდა, „გაიშნიკმა“ საკუთარი მოტოციკლი ვერ დაქოქა და გაექცა, მაგრამ გამოძიებამ ფასდაუდებელი ინფორმაცია მიიღო – ცხადი გახდა, რომ ავტომანქანა შავი მხოლოდ დანაშაულის ჩადენის დროს იყო, რადგან მას, უბრალოდ, ღებავდნენ. საგამოძიებო ჯგუფმა ყველა ავტოგასამართი დაწესებულება შემოიარა და გადაამოწმა, სად ღებავდნენ ხშირად თავიდან ბოლომდე „ვოლგას“, თუმცა ყველამ უარყო, ასეთი სიხშირით ჩვენთან არავინ ღებავსო. შედეგად დაიდო დასკვნა – დამნაშავეები მანქანას თავად ღებავდნენ. დაიწყო ავტოფარეხების შემოწმება, მაგრამ სამ დღეში სამართალდამცავები მიხვდნენ, რომ ამას აზრი არ ჰქონდა – ჯერ ერთი, ძალიან ბევრი ავტოფარეხი იყო და მეორეც, მანქანა შესაძლებელია, საკუთარ სახლში, „ნავესში“ მდგარიყო. აზერბაიჯანში კი „ნავესი“ ყველა საკუთარ სახლს ჰქონდა.

ასე გადიოდა წლები, ბანდა კვალს თითქმის არ ტოვებდა და თუ ტოვებდა, დაკავებულები ვერაფერს ამბობდნენ მეთაურის, ასლან ბენჯალის შესახებ. რამდენიმე მათგანს ის ნანახი ჰყავდა, მაგრამ არ იცოდნენ, სად ცხოვრობდა, როგორ გამოიყურებოდა, რადგან ბენჯალი შეხვედრებზე ცხვირამდე აწეული სვიტერით მიდიოდა, მხოლოდ თვალები უჩანდა და...

„ისეთი ლამაზი თვალები აქვს, ნებისმიერ ქალს შეაბამსო“, – ამბობდნენ ბანდის წევრები. კვანძი 16 წლის შემდეგ, სრულიად შემთხვევით გაიხსნა.

ბაქოში, ნიზამის ქუჩაზე მდებარე უზარმაზარი მაღაზიის დირექტორი, მუსა ჰუსეინოვი გახლდათ. მუსა დაფასებული კაცი იყო, გაჭირვებულებს ხელს უმართავდა, ზემოთ მისატანი თავის დროზე მიჰქონდა და არასდროს არავინ ეხებოდა. ყველამ იცოდა, მუსას ნებისმიერ დონეზე ჰქონდა დალაგებული ურთიერთობა. ჰოდა, ერთ დღეს, მუსას სახლში ტელეფონის ზარი გაისმა. ჰუსეინოვის ცოლს ვიღაცამ სასწრაფოდ მიაყარა, ათ წუთში, სახლში „ობეხე“ მოვა, მთელი ძვირფასეულობა და ფული დედაშენთან გადაიტანე, სასწრაფოდ, არ მოგვისწრონო. ცოლმა ყველაფერი ერთ დიდ ჩემოდანში მოაგროვა, დაახლოებით, ორი კილო ოქრო და ოც კილომდე ფული (სწორედ ასე ამბობდნენ სამართალდამცავები), გარეთ გამოვიდა, რათა დაახლოებით, ას მეტრში მცხოვრები დედის სახლში გადაეტანა, თუმცა ზედ კართან, მილიციის ფორმაში გამოწყობილი ადამიანი დახვდა, ჩემოდანი მკაცრი სახით გამოართვა, უბრძანა, შინ შესულიყო და სამართალდამცავების ძირითად ჯგუფს დალოდებოდა.

დაზაფრული ქალი შინ შებრუნდა, ლოგინზე ჩამოჯდა და გაშეშდა. დაახლოებით, ერთ საათში, შინ შეზარხოშებული ქმარი დაბრუნდა. ცოლი ყელზე ჩამოეკიდა და ჰკითხა, დავიღუპეთო, რაზეც ქმარმა პირი დააღო. მაშინ ქალმა დეტალურად მოუყვა ყველაფერი და ქმარი გადაირია – ცოლს სულ სულელი ეძახა და მაშინვე... მინისტრთან დარეკა.

სამართალდამცავებმა სასწრაფო ზომები მიიღეს, გადაკეტეს ყველაფერი, რისი გადაკეტვაც შეიძლებოდა, ყველა თანამშრომელმა იცოდა ჩემოდნის ფერი, ზომა, მოცულობა და მეტიც, უკვე ჰაერში აწეულ თვითმფრინავების პილოტებსა და გამცილებლებსაც ჰკითხეს, თვალი ხომ არ მოჰკრეს ასეთ ჩემოდანს. ერთ-ერთი თვითმფრინავის გამცილებელმა თქვა, რომ აღწერილი ჩემოდანი მოსკოვისკენ მიმავალ თვითმფრინავში ვიღაც კაცმა აიტანა, ბარგში არ ჩააბარა და ცოტა ფულიც გადაიხადა, თვითმფრინავის სალონში რომ დაედო. თვითმფრინავს დომოდედოვოს აეროპორტში, მოსკოვის სამძებროს ოპერმუშაკები, ხოლო გასასვლელში – სპეცდანიშნულების რაზმი ელოდა. თუ ისე მოხდებოდა, რომ ოპერები მგზავრს ტრაპიდან ჩამოსვლისთანავე ვერ დააკავებდნენ, მაშინ საქმეში სპეცდანიშნულების რაზმი ჩაერთვებოდა. საეჭვო მგზავრმა ტრაპიდანვე დაინახა, რომ მას ელოდნენ, თუმცა არ დაძაბულა, მშვიდად ჩაირბინა ტრაპი და... თავქუდმოგლეჯით გაიქცა. ერთ-ერთმა ოპერმა დამიზნებით ესროლა, ტყვიამ გაქცეულს ყური გაუკაწრა და სამართალდამცავის ხმაც გაიგონა – „მეორე ტყვია თავში მოგხვდება“.

გაქცეული გაჩერდა, ჩემოდანი დაბლა დადო და ჩუმად ჩაილაპარაკა – „დასრულდა“!

რა თქმა უნდა, მოსკოვმა 16 წლის განმავლობაში ძებნილი ასლან ბენჯალი არ დათმო, თუმცა ნამდვილი შოკი ელოდა – დაკავებული კაცთა დაწესებულებაში არ შედიოდა, ქალი ვარო. სპეციალურმა კომისიამ დაადგინა – ზარ-ზეიმით დაპატიმრებული, 16 წლის განმავლობაში, როგორც კრიმინალურ სამყაროზე, ისე სამართალდამცავებზე შიშის დამცემი, „ლომის თათის“ მეტსახელით ცნობილი ასლან ბენჯალი, ქალი იყო.

„მამაჩემი „კანონიერი ქურდი“ გახლდათ. ექვსი გოგო ჰყავდა, მეშვიდე ბიჭი იქნებაო, ყველას უმტკიცებდა. მე გავჩნდი, თუმცა მამამ არ გაამხილა, რომ მეც გოგო ვიყავი, ბიჭად გამზარდა. დავყავდი გარჩევებზე, შვიდი წლის ვიყავი, პირველად მკვლელობა რომ ვნახე, კრიმინალებმა სამართალდამცავებთან თანამშრომლობის გამო, ბანდის ერთ-ერთი წევრი მოკლეს. შემდეგ მამა დაიღუპა, მე 15 წლის ვიყავი და ჩემს გარშემო, თავზე ხელაღებული ახალგაზრდების ჯგუფი შემოვიკრიბე. ჩვენი ეშინოდა ყველას, რადგან ახალგაზრდული ასაკის გამო, ყველაფერზე ვიყავით წამსვლელები. ასე გავხდი ასლან ბენჯალი – ბანდის მეთაური, შემდეგ კი კულუარებში გადავინაცვლე, რადგან ასაკთან ერთად, მკერდიც გამეზარდა და წვრილ ხმასაც ახალგაზრდულ ასაკს ვეღარ დავაბრალებდი. მოწევა დავიწყე, ხმა რომ დამბოხებოდა. ჩემსა და კრიმინალებს შორის შუამავლად, ერთი ახალგაზრდა კაცი მყავდა, რომელსაც ვენდობოდი და ვუფრთხილდებოდი. მისი სიტყვა ჩემი სიტყვა იყო და ამიტომ, მას ანგარიშს უწევდნენ. ნაძარცვი ფულის დიდ ნაწილს ბავშვთა სახლებში ვაგზავნიდი, ეს ჩემი პრინციპი იყო და ამით ვამაყობ. ახლა ვიცი, დახვრეტა არ ამცდება, მაგრამ როცა კეფაში მესვრით, გაიხსენეთ, რომ 16 წლის განმავლობაში, მთელმა სისტემამ ერთ ქალს ვერ აჯობა“, – ეს არის ამონარიდი დაკავებულის დაკითხვის ოქმიდან, რომელიც მთლიანობაში, 45 გვრდს მოიცავდა.

იყო ორი მიზეზი, რის გამოც ასლან ბენჯალის სახელს ამოფარებული ქალი არ დახვრიტეს. პირველ რიგში, ქალი იყო, სუსტი სქესის წარმომადგენლის დახვრეტას კი საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის თანხმობა სჭირდებოდა და საკითხს უმაღლეს დონეზე უდიდესი სიფრთხილით იხილავდნენ. მეორე მიზეზი ბევრად საინტერესო გახლდათ – დაკითხვაზე ბანდის მეთაურმა აღიარა, რომ თანხის არცთუ მცირე ნაწილი ბავშვთა სახლებში ირიცხებოდა. სამართალდამცავებმა გადაამოწმეს და დადასტურდა, რომ საერთო ჯამში, ნაძარცვი ფულიდან, ბანდამ ბავშვთა სახლებს 700 ათასი მანეთი გადაურიცხა. ეს მაშინ ძალიან, ძალიან დიდი ფული იყო და რაც მთავარია, იმაზე მეტი, ვიდრე სახელმწიფო ხარჯავდა.

საბჭოთა კავშირის ისტორიაში, ერთ-ერთი, ყველაზე მოუხელთებელი ბანდის მეთაურს 15 წელი მიუსაჯეს, რომლის მოხდის შემდეგაც, მან მშვიდი ცხოვრება არჩია. ის დღესაც ბაქოში, კერძო სახლში ცხოვრობს, ჟურნალისტებს და გარე სამყაროს, პრაქტიკულად, არ ეკონტაქტება. როგორც ამბობენ, მხოლოდ პენსიით ცხოვრობს, თუმცა ხალხი არ მალავს, რომ სახლს, რომელშიც ქალბატონი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ატარებს, საპენსიო დანაზოგით ნამდვილად ვერ შეიძენდა.

კრიმინალი, რომელმაც სახელმწიფო 17 ათასით აზარალა, ბერად აღიკვეცა

ბათო ჯაფარიძე

კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებს, ძირითადად, ერთნაირი ფსიქოლოგია აქვთ. თითოეულ მათგანს, გულის სიღრმეში სჯერა, რომ სამართალდამცავებზე ჭკვიანია და ვერასდროს დაიჭერენ. რა თქმა უნდა, არიან მოუხელთებელი კრიმინალებიც, მაგრამ მათი რიცხვი ერთ პროცენტსაც კი არ აღემატება და კრიმინალური სამყაროს კლასიკოსებად ითვლებიან. გაგიკვირდებათ და, ასეთ მოუხელთებელ კრიმინალებს სამართალდამცავები პატივითაც კი ეპყრობიან და მათ მიერ ჩადენილი დანაშაული, სიზუსტისა და პროფესიონალიზმის გამო, აღფრთოვანებასაც იწვევს. შემთხვევა, რომელზეც ახლა გიამბობთ, სწორედ ასეთ კრიმინალზეა. მას სამართალდამცავები „მილასლავსკადაც“ მოიხსენებდნენ – ცნობილი ფილმის, „ივან ვასილის ძე იცვლის პროფესიას“ გმირი, მილასლავსკი ბინებს ვირტუოზულად ასუფთავებს და ამ შემთხვევაშიც, მილიციას საქმე, სწორედ ვირტუოზთან ჰქონდა, თუმცა ის მთელი „კარიერის“ განმავლობაში, ერთ ბინასაც არ გაჰკარებია.

უცნაური სერიული ქურდობის ანატომია

„თბილისში, ერთ-ერთი საიუველირო მაღაზიიდან, მილიციაში სიგნალი დილით შემოვიდა. მაღაზია გაქურდული იყო, მაგრამ ადგილზე მისულებს, უცნაური სურათი დაგვხვდა. წაღებული იყო მხოლოდ ოქროს ყელსაბამი, საყურე და სამაჯური. მთლიანობაში, ვიტრინებში 200 ათასი მანეთის საქონელი ელაგა, მაგრამ ქურდმა მათ ხელი არ დაადო. იმის ვარაუდი, რომ ქურდს ხელი შეუშალეს, სისულელე გახლდათ. გახსნილი იყო სეიფიც, საიდანაც ასევე, არაფერი იყო წაღებული, არადა, იქ ყველაზე ძვირფასი, ბრილიანტის ნაკეთობები ინახებოდა“, – იხსენებს პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

მაღაზიაში სიგნალიზაცია გათიშული იყო, ქურდმა იუველირის სიზუსტით იმუშავა, ერთი სამხილიც არ დატოვა, არც თითის ანაბეჭდი, ადგილზე მიყვანილმა ძაღლმა კი სუნი ვერ აიღო – იატაკზე, თუთუნში არეული შავი პილპილი ეყარა, რაც გამორიცხავდა ძაღლის მუშაობას.

ორი კვირის შემდეგ, განყოფილებაში ზარი ტანსაცმლის მაღაზიიდან შევიდა. ადგილზე მისული სამართალდამცავები კიდევ ერთხელ გაოცდნენ – გახსნილი იყო სეიფი, საიდანაც როგორც დირექტორი ამბობდა, დაახლოებით, 2 ათასი მანეთი გაქრა და წაღებული იყო ორი რამ – მამაკაცის პალტო და ქალის ძვირადღირებული ქურქი. არადა, ქურდს შეეძლო, ათეულობით ასეთი ქურქი წაეღო, მაგრამ ხელი არაფერს დაადო.

„ხელჩასაჭიდი ისევ არაფერი გვქონდა. ქურდმა ძალიან სუფთად იმუშავა და რაც მთავარია, შეეძლო, წაეღო ათეულობით ათასი მანეთის საქონელი, მაგრამ ხელი არ მოკიდა. სისულელე იყო იმაზე ფიქრი, რომ ხელი რამემ შეუშალა. არაფერი მსგავსი, მას, უბრალოდ, არ მიჰქონდა იმაზე მეტი, ვიდრე თავად ჰქონდა გადაწყვეტილი. აი, მესამე ეპიზოდმა კი უფრო მეტი კითხვა გააჩინა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

მესამე ჯერზე, ქურდმა ტექნიკის მაღაზია გაქურდა. წაიღო საუკეთესო მაგნიტოფონი, ავტოგენით გაჭრა სეიფი და როგორც დირექტორი ამბობდა, სეიფიდან მისი კუთვნილი „მაკაროვი“ გაქრა. წესით, მაშინ იარაღის ტარების უფლება, მხოლოდ მილიციელს ჰქონდა, მაგრამ თანამდებობის პირები იარაღზე მაინც „ჩალიჩობდნენ“ და ინახავდნენ. მაღაზიის დირექტორმა კარგად იცოდა, რომ ეს დარღვევა იყო, მაგრამ რომ არ ეთქვა და მოპარულ იარაღს სადმე გაესროლა, უფრო მეტი შარი იქნებოდა. ჰო, სეიფში იარაღის გარდა, 25-მანეთიანების 4 შეკვრა ანუ 10 ათასი მანეთი იდო, თუმცა დამნაშავემ ხელი არ მოჰკიდა.

„ეჭვმიტანილი კი არ ქურდობდა, დაგვცინოდა. ის უმარტივესად უვლიდა გვერდს ყველა დაბრკოლებას, შედიოდა მაღაზიაში, იქ რამდენ ხანსაც სურდა, ჩერდებოდა, შემდეგ, ასევე, შეუმჩნევლად ბრუნდებოდა უკან და ვერ ვპოულობდით. ავტოგენით გაღებული სეიფები მხოლოდ მინიშნება იყო, რომ ესეც შეეძლო, შეეძლო აურაცხელი ფული ეშოვნა, მაგრამ არ აკეთებდა. გაბრაზებულები კი არა, გაცოფებული ვიყავით. ამის მიუხედავად, ზემოდან ძალიან არ გვაწვებოდნენ, რადგან ზარალი დიდი არ იყო, მაგრამ ქურდის დაჭერა ღირსების საქმე გახლდათ“, – გვიყება ბატონი თენგიზი.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, რვა წლის განმავლობაში, საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, ქართველმა „მილასლავსკიმ“ 17 ქურდობა ჩაიდინა და ერთხელაც არ გაბმულა. ყოველ ჯერზე, სამართალდამცავები სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდნენ მის პროფესიონალიზმში და აღტაცებას ვერ მალავდნენ. ერთ-ერთი საიუველირო მაღაზიის გაქურდისთვის, მან გვერდით, მიტოვებული შენობიდან 50 მეტრის გვირაბი გათხარა – საჰაერო ვენტილაციებითა და სამაგრი ბოძებით. მაღაზიიდან კი გულის ფორმის ოქროს გულსაკიდი წაიღო ანუ ამდენი მხოლოდ გულსაკიდისთვის იწვალა, როცა შეეძლო, მინიმუმ, 100 ათასი მანეთის ოქროულობა გაეტანა. მილიციისთვის, სამწუხაროდ, ისევ არანაირი კვალი და გვირაბში, ლამის მუხლამდე დაყრილი თუთუნისა და შავი პილპილის ნაზავი.

როგორც წესი, 8 მარტი დასვენების დღე გახლდათ. ერთ-ერთი მაღაზიის თანამშრომლები, სამსახურში მაინც მივიდნენ, მოილხინეს, საღამოს კი დაიშალნენ. დილით, უკან დაბრუნებულებს, მაღაზია გაქურდული დახვდათ. ქურდმა ახალი პალტო წაიღო, ხოლო ადგილზე ის დატოვა, რომელიც რამდენიმე წლის წინ მოიპარა. ამასთან, მაღაზიის თანამშრომლები ირწმუნებოდნენ, რომ შამპანურის გაუხსნელი ბოთლი და ნახევარი ტორტი დატოვეს. შამპანური დაცლილი იყო, ტორტი – შეჭმული. სუფრას ერთი ჭიქა აკლდა, სავარაუდოდ, ის, რომლითაც ქურდმა შამპანური დალია. რაღა თქმა უნდა, სამართალდამცავებმა პალტოს შესწავლა დაიწყეს. ქურდის თავხედობას საზღვარი არ ჰქონდა, მოპარული პალტო გამოიცვალა და ძველი ადგილზე დატოვა. პალტოს ჯიბე გახეული იყო და ქაღალდის ნაგლეჯი ეგდო, სადაც მისამართი და გამოძახების დრო ეწერა. სამართალდამცავები მისამართზე გავიდნენ, კარი მოხუცმა ცოლ-ქმარმა გააღო და გაიხსენეს, რომ ორი წლის წინ, რადიო-ხელოსანი გამოიძახეს, მაგრამ ის არ მივიდა ანუ ეს ძაფიც გაწყდა. სამაგიეროდ, რადიო-ხელოსნების შემოწმება დაიწყეს და რაც მთავარია, მილიციას ჰქონდა პალტო ანუ შეეძლო ქურდის სხეულის ზომა-წონაზე გარკვეული წარმოდგენა ჰქონოდა. იმის გათვალისწინებით, რომ ყველა ქურდობა არა მარტო გონებრივ, არამედ, კარგ ფიზიკურ მონაცემებსაც მოითხოვდა, გამოძიება გამორიცხვის მეთოდით წავიდა და საბოლოოდ, არჩევანი 35 წლის მამაკაცზე შეაჩერა. მისი თვალთვალი დაიწყეს. ის ცოლსა და ერთ შვილთან ერთად ცხოვრობდა, რადიო-ქარხანაში მუშაობდა და არაფრით გამოირჩეოდა. არ იყო ნასამართლევი, არ ეტყობოდა, რომ ბევრი ფული ჰქონდა, წელიწადში ერთხელ, დასასვენებლად დადიოდა, ძირითადად. საქართველოს ზღვისპირეთში, ან სოფელში.

თვალთვალმა შედეგი სამი თვის შემდეგ გამოიღო. რატომ უთვალთვალებდნენ მას ამდენი ხნის განმავლობაში? – იმიტომ, რომ გამოძიებას არც სხვა ვერსია ჰქონდა და არც სხვა ეჭვმიტანილი ჰყავდა. სამი თვის შემდეგ, ღამით, ეჭვმიტანილი სახლიდან მცირე ზომის ჩანთით გამოვიდა და გეზი სათამაშოების მაღაზიისკენ აიღო. მაღაზიაში ფანჯრიდან შევიდა და სამართალდამცავები მაშინ დაადგნენ, როცა სეიფს ჭრიდა. სხვა ნივთებთან ერთად, ჯიბეში, წლების წინ მოპარული „მაკაროვი“ უპოვეს.

„ჩემი ცოლი სიცოცხლეზე მეტად მიყვარს. მას უარს ვერაფერზე ვეუბნები და ამიტომ, როცა რამეს მთხოვდა და ფული არ მქონდა, უბრალოდ, ვიპარავდი. არ მჭირდებოდა იმაზე მეტი, რასაც ცოლი მთხოვდა, ამიტომ არ მიმქონდა არაფერი, სეიფებს კი ინტერესის გამო ვხსნიდი, მაინც შესული ვიყავი და მაინტერესებდა, რას ინახავდნენ იქ მდიდარი დირექტორები. მერე და მერე, აზარტში შევედი და უკვე ყველაფერი, არა მხოლოდ ცოლის სურვილების ასრულებად, არამედ, სამართალდამცავებთან თამაშში გადაიზარდა. არ მეგონა, თუ დამიჭერდით და ერთადერთი თხოვნა მექნება – არ დამხვრიტოთ“, – ეს იყო დაკავებულის აღიარება.

სასამართლოზე გაირკვა, რომ დაკავებულს, საერთო ჯამში, სახელმწიფოსთვის 17 ათასი მანეთის ზარალი ჰქონდა მიყენებული. ამ თანხაში შედიოდა სეიფების გაჭრა, საკეტების გატეხვა და ა.შ., მაგრამ იმავე სასამართლოზე ითქვა, რომ მას შეეძლო ნახევარი მილიონის ქონება მოეპარა, თუმცა ეს არ გააკეთა. სასამართლომ დაკავებულს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

„ჩემი „მილასლავსკი“, რამდენიმე წლის წინ, ერთ-ერთ მონასტერში ვნახე, ბერად არის აღკვეცილი. მე ვერ ვიცანი, თავად მიცნო, დამლოცა. ნაღვლიანად მითხრა, 15 წელი სრულად მოვიხადე, ერთი დღეც არ მაპატიეს. ციხეში ყოფნის მესამე წელს, ცოლი გათხოვდა, ხოლო შვილს ჩემი ნახვა არ უნდა, კრიმინალ მამასთან საერთო არაფერი მაქვსო. მეც ეკლესიაში წამოვედი და მათი სულებისთვის ვლოცულობ“, – გაიხსენა მის მიერ დაკავებულთან ბოლო შეხვედრა, ბატონმა თენგიზმა.

შსს-ს კომპიუტერულ ინფრასტრუქტურაზე, სხვადასხვა ქვეყნიდან კიბერშეტევა განხორციელდა

23 თებერვალს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპიუტერულ ინფრასტრუქტურაზე, სხვადასხვა ქვეყნიდან კიბერშეტევა განხორციელდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა დანაყოფმა, ოპერატიული მოქმედებების შედეგად, შეტევა აღკვეთა. გამოძიება კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენებისა და ხელყოფის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 285-ე და 286-ე მუხლებით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 618 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ. სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 618 ფაქტი გამოვლინდა. პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42 (10)-ე მუხლის შესაბამისად, 99 ფიზიკური პირი დააჯარიმა. დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, 24 საათის განმავლობაში, პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42 (11)-ე მუხლის შესაბამისად, 519 ფიზიკური პირი დაჯარიმდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42 (11)-ე მუხლის შესაბამისად, ჯარიმას – 20 ლარის ოდენობით.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42 (10)-ე მუხლის შესაბამისად, ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2 000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10 000 ლარის ოდენობით. განმეორებითი ჯარიმა კი სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

კახეთის პოლიციამ ყვარლის მუნიციპალიტეტში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის ყვარლის რაიონული სამმართველოსა და გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2001 წელს დაბადებული ა.ე., ყაჩაღობის ბრალდებით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დააკავეს.

დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, მიმდინარე წლის 20 თებერვალს, ყვარლის მუნიციპალიტეტში, მოქალაქის კუთვნილ სურსათის მაღაზიაში შეიჭრა, მაღაზიის მეპატრონეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, ცივი იარაღით სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა და ყაჩაღურად გასტაცა 1 500 ლარი, ოქროს ბეჭედი, მობილური ტელეფონი და სიგარეტები, რის შემდეგაც, შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

პოლიციამ, ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღო ყაჩაღური გზით დაუფლებული თანხა და მობილური ტელეფონი. ერთ-ერთი ლომბარდიდან, ასევე, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია ოქროს ბეჭედი.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

ვახტანგ გომელაურმა პარლამენტში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაწეული და სამომავლოდ დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ისაუბრა

შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატი, ვახტანგ გომელაური პარლამენტში, საპროცედურო საკითხთა და წესების, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, თავდაცვისა და უშიშროების და იურიდიულ საკითხთა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე, მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების ფორმატში, მოხსენებით წარსდგა.

ვახტანგ გომელაურმა, დეპუტატებთან შეხვედრაზე, დეტალურად ისაუბრა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობისა და სამომავლოდ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. როგორც შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატმა აღნიშნა, სამართალდამცველთა მუშაობის შედეგად, გასულ წელთან შედარებით, დანაშაული 12%-ით შემცირდა, ხოლო არსებული გამოწვევების საპასუხოდ, სამინისტრო განაგრძობს რეფორმებს კრიმინალური პოლიციის, საპატრულო პოლიციისა და საზღვრის დაცვის მიმართულებით.

შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რეფორმირების პროცესში, ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების გაუმჯობესება სამინისტროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად რჩება.

ვახტანგ გომელაურმა ასევე აღნიშნა, რომ სამინისტრო გააგრძელებს ნარკორეალიზატორების მიმართ უკომპრომისო პოლიტიკის გატარებას, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას, სამინისტროს დანაყოფების შესაძლებლობების გაძლიერებას და უწყების თანამშრომელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესებას.

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, თავდაცვისა და უშიშროების და იურიდიულ საკითხთა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის, ირაკლი ღარიბაშვილის მიერ საქართველოს პარლამენტში ნდობის გამოცხადებისთვის წარდგენილ საქართველოს მთავრობის შემადგენლობას და სამთავრობო პროგრამას, კენჭისყრის შედეგად, კომიტეტების წევრმა დეპუტატებმა მხარდაჭერა გამოუცხადეს.

კახეთის პოლიციამ ოჯახში ძალადობის, მუქარისა და არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულის ბრალდებით, ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ოჯახში ძალადობის, მუქარისა და არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულის ბრალდებით, 1990 წელს დაბადებული გ.ი. ლაგოდეხში დააკავეს.

დანაშაული 15-დან 20 წლამდე, ან უვადოდ თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით, მეუღლის მიმართ სისტემატურად ახორციელებდა ფსიქოლოგიურ ძალადობას და დანის დემონსტრირებით, სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა მას. გ.ი. არასრულწლოვან შვილებზეც ძალადობდა.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ბრალდებულმა თავის ოჯახში, სტუმრად მყოფი 10 წლის გოგონას მიმართ, სქესობრივი დანაშაული ჩაიდინა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით და 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

police.ge

ვინ არის ქართული წარმოშობის ბიზნესმენი, რომელიც თემურ ქეცბაიას უმდიდრესი კლუბის მწვრთნელად ნიშნავს

ბერძენი ბიზნესმენი, ივან სავიდისი, წლებია, „ფორბსის სიაში“ ხვდება. მის ანგარიშზე ორ მილიარდ დოლარზე მეტი ირიცხება და საბერძნეთში, ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანად ითვლება. სავიდისმა საფეხბურთო კლუბი „პაოკ“-ი, 2012 წელს შეიძინა და სოლიდური ინვესტიციაც განახორციელა.

დიდი დანახარჯის მიუხედავად, „პაოკ“-მა ჩემპიონობა, ამ ხნის განმავლობაში, მხოლოდ ერთხელ მოახერხა, რაც ამბიციურ სავიდისს არ აკმაყოფილებს, ამიტომ სეზონის ბოლოს, რომელსაც მისი კლუბი, უდიდესი ალბათობით, მეორე ადგილზე გავა, ის თანამდებობიდან მთავარი მწვრთნელის, პაბლო გარსიას გათავისუფლებასა და მის ადგილზე... თემურ ქეცბაიას დანიშვნას გეგმავს.

შეგახსენებთ, რომ ქეცბაიას კვიპროსულ „ანორთოსისთან“ კონტრაქტი ზაფხულში ეწურება.

„საქართველო ჩემი სამშობლოა. ჩემი მშობლები წალკაში დაიბადნენ, მეც იქ გავჩნდი, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი, მათ ელადას მიაშურეს, მე – რუსეთს“, – ეს სავიდისის სიტყვებია.

ის ორჯერ იყო რუსეთის დუმის დეპუტატი და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე, მისი ხელმოწერაცაა.

დიდი კითხვის ნიშანი ძიუდოში

გასულ უქმეებზე, თელ-ავივში, ძიუდოისტთა შორის, მორიგი მსოფლიო თასი გაიმართა. საქართველოს ნაკრები, ერთი შეხედვით, გადახალისებული შემადგენლობით იყო წასული, თუმცა მწვრთნელებს რამდენიმე ისეთი ძიუდოისტი ჰყავდათ წაყვანილი, რომლებსაც საკუთარ წონაში, ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ დასამტკიცებელი.

კარს მომდგარი ოლიმპიური თამაშები მოსვენებას არავის აძლევს და შესაბამისად, ბოლო მომენტამდე გადასაწყვეტი იქნება, ვინ რომელ წონაში უნდა იჭიდაოს ოლიმპიადაზე.

ასე, მაგალითად, -90 კილოში, აქამდე ბექა ღვინიაშვილი და ავთანდილ ჭრიკიშვილი ეცილებოდნენ პირველნომრობას, მაგრამ ახლა, ლაშა ბექაური შევიდა ფორმაში და ოლიმპიადაზე წასვლის პრეტენზია მასაც აუცილებლად ექნება. თელ-ავივში ლაშამ ძალიან კარგად იჭიდავა, ფინალში გავიდა, იქ კი, ესპანეთის სახელით მოასპარეზე მსოფლიოს ჩემპიონს, ნიკოლოზ შერაზადიშვილს სძლია და ოქროს მედალი მოიპოვა.

რაც შეეხება ღვინიაშვილს, ის მეოთხედფინალში, სლოვაკ მეტოქესთან დამარცხდა და საბოლოოდ, მესამე ადგილს დასჯერდა.

საინტერესო იყო მძიმე წონაც, სადაც უპირობო ლიდერად გურამ თუშიშვილი ჩანდა, მაგრამ გურამმა ბოლო ტურნირი ჩააგდო და საკუთარი ძალა, სწორედ აღთქმულ მიწაზე უნდა დაემტკიცებინა. თუშიშვილმა ნახევარფინალამდე მშვიდად იარა, იქ კი... გელა ზაალიშვილთან დამარცხდა და საბოლოოდ, მესამე ადგილს დასჯერდა.

რაც შეეხება ზაალიშვილს, მან ფინალში რუსთა ფალავანი, ბოლო დროს საკმაოდ მოძლიერებული, ტამერლან ბაშაევი გააკრა ბეჭებზე და ოქროს მედალი მოიპოვა. თელ-ავივში ფინალი დათმო თემურ ნოზაძემ, მესამე ადგილები დაიკავეს ილია სულამანიძემ და ნუგზარ ტატალაშვილმა, რაც საქართველოს გუნდური პირველი ადგილისთვის ეყო.

ყველაფერი ეს, ძალიან კარგია, ისიც კარგია, რომ ნაკრებში ასეთი კონკურენციაა, მაგრამ ფაქტია – მწვრთნელებს ოლიმპიადის წინ, სერიოზული თავსატეხი გაუჩნდათ.

ქალთა შორის მესამე ადგილი ეთერ ლიპარტელიანმა ირგუნა და -57კგ-ში, ოლიმპიადის საგზური მას უპირობიდ განაღდებული აქვს.

სუპერთასი „დინამოს“ დარჩა

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული თბილისის „დინამო“ და დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის მფლობელი „გაგრა“, ერთმანეთს სუპერთასისთვის დაუპირისპირდნენ. უპირატესობა, რაღა თქმა უნდა, „დინამოს“ ჰქონდა, რადგან პირველლიგელი „გაგრასგან“ თასის მოგებაც სასწაულად მოინათლა და ახლა კიდევ სუპერთასზე გამარჯვება, თანაც „დინამოსთან“, წარმოუდგენლად ჩანდა.

ამის მიუხედავად, „გაგრამ“ საოცრად იბრძოლა. მატჩის ძირითადი დრო ფრედ – 2:2 დასრულდა, პენალტების სერიაში კი უფრო ზუსტი „დინამო“ აღმოჩნდა და საფეხბურთო ლატარეა 5:4 მოიგო.

„დინამოელთა“ ახალი თავკაცისთვის, გიორგი ნემსაძისთვის, ეს პირველი ტიტულია. ახლა „გაგრაცა“ და „დინამოც“, ევროთასების საკვალიფიკაციო ეტაპისთვის უნდა მოემზადონ. ადრეც ვთქვით და ახლაც გავიმეორებთ – „გაგრას“ მეტი ხელშეწყობა სჭირდება, რათა საერთაშორისო ასპარეზზე, გასვლით შეხვედრებში, ევროპული სტადიონების ტაბლოზე, რაც შეიძლება ბევრჯერ აენთოს წარწერა – „გაგრა“ (საქართველო).

საქართველო დამარცხდა, მაგრამ...

„ევრობასკეტ 2022“-ის საკვალიფიკაციო ტურნირის ბოლო ორი შეხვედრა, საქართველოს ნაკრებმა თბილისში გამართა. ილიას ზუროსის შეგირდები ორივე მატჩში დამარცხდნენ და საამისო მიზეზიც ჰქონდათ – NBA-ში მიმდინარე სეზონის გამო, გოგა ბითაძე არ გვყავდა, ტრავმის მეოხებით კი, ნაკრების კაპიტანი, თორნიკე შენგელია ვერ ჩამოვიდა თბილისში. ნაჩვენები შედეგის მიუხედავად, საქართველო, როგორც ევრობასკეტის ერთ-ერთი მასპინძელი, ფინალურ ეტაპზე მაინც გავიდა.

ასეც რომ არ მომხდარიყო, ჩვენმა გუნდმა ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და საგზურს ისედაც გაინაღდებდა.

ახლა, მთავარია, საქართველოს დედაქალაქში, სპეციალურად „ევრობასკეტ-2022“-სთვის დაწყებული სპორტის სასახლის მშენებლობის ტემპები არ დაეცეს და დროში ჩავეტიოთ.

რაც შეეხება საბოლოო სატურნირო მდგომარეობას, ის ასე გამოიყურება:

სერბეთი	6	4	2	515:457	10
საქართველო	6	4	2	508:517	10
ფინეთი	6	3	3	448:464	9
შვეიცარია	6	1	5	493:526	7

ბათო ჯაფარიძე

მარო მაყაშვილის დღიური

(იბეჭდება მცირედი შემოკლებით)

მარო მაყაშვილის დღიური – ასე იწყება მარო მაყაშვილის დღიური, საქართველოს დროშაც მაროს დაუხატავს და ყდის მარჯვენა ზედა კუთხეში მიუწერია: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია...“



გაზაფხული

დიდი ძილის შემდეგ ამოჰყო მზემ თავი, თვალები დაისრისა, ზარმაცად გადმოხედა დედამიწას და გაიფიქრა: „ნეტა, რას აკეთებენ იქ, დიდიხანია, არ ჩამიხედნია“. დედამიწამაც იგრძნო სითბო და ნელ-ნელა გადიხადა თვისი თბილი საბანი. აჩუხჩუხდნენ რუები, აღელდნენ ხეები, მოუთმენლად ელოდნენ თავიანთ კეკლუც კაბებს. ცამაც გადიფარა ცისფერი სარტყელი. გაცოცხლდა ბუნება და გააცოცხლა სულდგმულიც. ჭიაღუამ აიდგა ფეხი და მუშაობას შეუდგა. ფრინველები თანდათან იკრიბებიან შორეული ქვეყნებიდან და ერთმანეთში ჭორიკანობენ. საღამო მშვენიერი არის. მთვარე - მფლობელი ღამის სივრცისა, დაბრძანდება თავის ციმციმა ამალით. სიჩუმეა. სიოც განაბული სთვლემს ტოტებში. ზოგან წამოიკვნესებს ბულბული და ისევ მალე წყდება მისი ჰანგი. ყვავილები ერთმანეთს ეკონებიან. მთვარემ გადაავლო ყველაფერს თვალი, დარწმუნდა, რომ ყველგან მშვიდობაა, გამოესალმა აქაურობას და ისევ მიიძინა. მის მაგივრად, მზემ გაუცინა კვლავ გაღვიძებულ დედამიწას. სოფლები ახმაურდნენ. ყველა ჩქარობდა წასულიყო ყანაზედ და მოეთოხნა პური, რომ წლის სარჩო შეეძინა. ყველა ფუსფუსებდა, უმეტესად დედაკაცები. კაცები აქა-იქ სჩანდნენ, ისიც ან ძალიან ახალგაზრდები, ან ბებრები. ყველა მირბოდა მდელოებისაკენ. ამ ფუსფუსში, ბევრს ცრემლი ადგებოდა თვალთ. რა ამბავი იყო? აი, რა... მუშა-ხელი გამოილია. რამდენმა ყმაწვილმა ბიჭმა შესწირა თავი მამულს და რამდენი სხვა ქვეყანაში იყო და თავისი სამშობლო გასაუბედურებლად დაუგდო. ამ ომმა ბოლო მოუღო მუშაობასაც და ბედნიერებასაც. რამდენმა დედამ ცრემლებით გაგზავნა თავისი შვილი სასიკვდილოდ. რამდენმა დედამ ღამეები ლოცვაში და ტირილში გაატარა. საბრალო არსებანი. გაზარდეს რა წვალებით და ეხლა რა დღე დაადგათ. ნუთუ, მაგისთვის შესწირა დედამ თავისი სიცოცხლე, რომ ვიღაცა გარეული ადამიანისთვის შესწიროს შვილი? სამშობლო, საქართველო აღარ იყო. მტერი სამშობლოს კი არ აწუხებდა, სამშობლოც უცხო პატრონს, რომელსაც მტერი უნდა მოეგერიებინა და საბრალო ქართველი წაასხა. სად არის სამართალი? ერეკლე, ერეკლევ, რაზე დაგვღუპე? მართალია, შენც სხვა გზა არ გქონდა, მაგრამ რუსს რათ მიგვეცი? იმიტომ, რომ მთელი ჩვენი სიცოცხლე ვიტანჯოთ? რათ? რა დაგიშავა საბრალო ერმა, ღმერთო?

გაზაფხლია, მოალერსე, მომღიმარი, მაგრამ ეს არავისზედ არ მოქმედობს. მათი ფიქრები სულ სხვაგან არის, ან შვილებთან, ან ქმრებთან და ძმებთან, რომელნიც იქნება განგმირულნი გდიან ბრძოლის ველზედ. მოხუცებული კაცები მიიზლაზნებოდნენ მინდორისკენ. გადაგდებული თოხებით და ხორბლით. უკანაც ბავშვები მისდევდნენ წყლით და პურით, მთელი დღის საგზლით. სიმღერა აღარ ისმის. სად არის ურმული და ჰოროველა? ყოველი ხორბალი ცრემლებით ითესება. მისი მთესველი იმას არ ევედრება ღმერთს, რომ კარგი მოიყვანოს ყანა და შიგ ღვთის თვალი დატრიალდეს და თავთავმა მიწაზედ დახაროს სიმძიმისგან თავი. არა! ის ლოცულობს, მისი შვილი ან მახლობელი მშვიდობით დაბრუნდეს ბრძოლიდან და მაგაზედ მეტი, მას არა უნდა რა. შინაც დედაკაცი მხიარული არ არის. მოწყენით და ოხვრით ასრულებს თავის მოვალეობას. მისი ჭკუა დაბნეულია და ხანდისხან იმას აკეთებს, რაც საჭირო არ არის. ბავშვსაც კი ესმის ესეთი მდგომარეობა. „დედა, ნუ გეშინიან, მამილო მალე მოვა და თუ არ მოვიდა, ღვთის ნებაა, მე მალე გავიზრდები და ნახავ, როგორ შეგინახავთ“. მაგრამ ამ სიტყვებზედ ბავშვსაც სტკივა გული. დედას ამხნევებს, თითონ კი იტანჯება. სოფლის ქუჩები მთელი დღე ცარიელია. ან ყველა მინდორშია, ან სახლში ჩაკეტილი. ბალღობა ზოგიერთ ალაგას აბუზულად და მოწყენით ლაპარაკობენ. ზოგიერთნი კი, სულ პატარები, დალასლასებენ, ან ყვირიან, ან ჩხუბობენ. აი, ესენი არღვევენ სიჩუმეს. სახლში შეხვალ, იქ ცრემლებით არწევს დედა ბავშვს და ეუბნება: „შე საბრალო, იქნება, მამაშენის ნახვა ვერ დაგცალდეს“ და ამაზედ უფრო ამოუჯდება გული საბრალოს. მოხუცებული დედა კი იგონებს თავის შვილის ყოველ ნაბიჯს და დასტირის, იქნებ, ჯერეთ ცოცხალს. თუ ძველად სამშობლო თავისუფალი ყოფილიყო, ნუთუ, დედა არ შესწირავდა სიხარულით შვილს თავის მამულის დასაცავად. ეხლანდელი დედა დაემსგავსებოდა უწინდელს, თუ კისერს უღელი არ ჰქონდა. ოჰ, მონობა რა ცუდი ყოფილა. შენ გინდა და სხვა გიშლის. რუსეთმა რაც კი კარგი გვქონდა, ჩვენი კულტურა, სულ დასცა და ახალიც არაფერი შემოიტანა ენის გარდა. ამისთანა მფარველი რომ ღმერთს არ გაეჩინა, უფრო კარგი იქნებოდა. ეს მეტად ცუდი იყო გლეხებისათვის, რომლებსაც თავს დაადგნენ და ტყავს აძრობდნენ. ამ რუსობამ გლეხებიც კი ძლიერ გააფუჭა და სინდისი დაუკარგა, ნამუსიც. ეხლა თავისუფლება გამოვაცხადეთ, კვლავ დამოუკიდებლები ვართ. ამისდა მიუხედავათ, გლეხი სულით და ხორცით დაეცა, დაივიწყა რწმენაც და პატიოსნებაც. იმის მაგივრათ, რომ ყველანი ერთად იცავდნენ ამ მონობისგან განთავისფლებისგან, აქ გლეხი გამხეცდა და თავის მოძმე ქართველს ჰკლავს. საზღვარი არ არის. ადამიანი დაიღუპა, გაფუჭდა. აი, რუსობამ რა შედეგი მოუტანა ჩვენს ერს. ნუთუ, დადგება ის დრო, როდესაც ძველებურად აუძგერებს ყველას გულს. ღმერთო, მალე, მალე მოვიდეს ის დღე და ქედმოხრილნი, მარტო შენი მონები ვიყვნეთ.

რა იქნა ძველი ჩვენი განათლება, სწავლა და კულტურა? მანდილი გადააფარა, ალბათ, ყველაფერს ოხრათდარჩენილმა რუსმა. ოჰ, როგორ მძულან, მეტადრე ეხლა, ამ ომის დროს და მერე... ვკითხულობ ყაზბეგის წიგნს, სადაც რუსეთის მთავრობის მოქმედებაა! ეგ ერთი ერია მგონი, ესეთი უღმერთო, უბედური, გაუნათლებელი და ღმერთისაგან დაწყევლილი. ღმერთო, მოგვიმართე ხელი.

1918 წლის 20 მაისს. 10 საათი საღამოსი. თბილისი.

* * *

დღეს დაგვიდგა უბედური დღე. დღეს შემოვიდა გერმანელის ჯარი და ქართველები, ე.ი. ჯარი, სიმღერით დაუხვდა. ჩვენც წავედით სანახავად. რა სურათი წარმოგვიდგა თვალწინ: ჩასუქებული, ჩასხმული, მხარბეჭიანი გერმანელები, ხიშტებით ხელში, შუა ქუჩაში იდგნენ რიგ-რიგად და ხალხი მათ გარს შემოხვეოდა, მათ ისეთი შეხედულება ჰქონდათ, თითქოს, უნდა ადამიანი შუაზე გაეგლიჯათ. წარბშეხრილნი და გამგელებულნი... პარადი იყო. მე ასეთი გრძნობა მქონდა, ვითომ ვიღაცა ახლობელს ასაფლავებდნენ. მღეროდნენ ქართველები, მაგრამ გულში რა ჰქონდათ? სევდა და დაღონება. მოვიშორეთ ერთი ბატონი. მონობისგან გავთავისუფლდით, ახლა კი ახალი უღელი დავიდგით. ღმერთო, ზეციერო, რა დაგიშავა ამ პატარა ერმა, რომ მთელ თავის ჯავრს, ჩვენზედ იყრი?

იმ საშინელ დღეს მიდიოდა ორი ჯარი – ქართველები და გერმანელები. ხალხი ბუზებივით ირეოდა. ზოგი იცინოდა, მხიარულობდა, ზოგი კი სდუმდა და სევდას ეძლეოდა. ჩემზე ამან ისე იმოქმედა, რომ ტირილიც კი მინდოდა. აი, რისთვის ვიბრძოდით, აი, ნაყოფი წარმოუდგა ახლა ყველას. რა საზარელი შეხედულება აქვთ: ჩასხმულები, მხარბეჭიანები, გოჭივით ჩასუქებული ცხვირ-პირი და სასტიკი გამომეტყველება. ჩემს უკან მოდიოდა ორი რუსი. ერთმა მათგანმა სთქვა, როცა ქართული სიმღერა გაიგეს: пой ласточка, пой, и могилу себе рой! აი, რუსების უკანასკნელი გამომშვიდობება, ამ სიტყვებით მოგვეგებნენ. ეს აზრი დაგვილოცეს მათ.

1918 წელი, 12 ივნისი.

* * *

... ჩვენ წინ გაიარა პაოლო იაშვილმა. მასთან ჩემი შორეული ნათესავი იყო. მე დავუკარი მას თავი. პაოლომ შეამჩნია... ისე მიყურებდა, რომ ძალიან გამიკვირდა... ბოლოს, ერთ კუთხეში დავდექით. ჩვენ პირდაპირ დადგნენ პაოლო, ტიტე ტაბიძე და ორი პოეტი, არ ვიცი მათი გვარები. მე ვდგევარ და ვწითლდები. ყველანი მე მიყურებენ... ელიჩკამ ხომ გამიწყალა გული – „იჰ, მარო, ნუ ღელავ, ნუ წითლდები...“ პაოლოს უკითხავს ჩემზედ, ვინ არის ესო. ნინა მაყაშვილი ეუბნება: „ეს კოტე მაყაშვილის ქალიაო“. „კოტესი!“ გაუკვირდათ, ყველანი მობრუნდნენ, დამიწყეს ყურება. პაოლომაც. მე გავწითლდი, მოვავლე ხელი ქეთოს და გავიქეცით...

1918 წლის 12 ივნისი.

* * *

... მინდა საზღვარგარეულ ძალიან და ძალიან. წავალ უსათუოდ. სწავლის შემდეგ, ერთ წელიწადს ვიმსახუ-

რებ, მოვაგროვებ ფულს და გავუადვილებ ჩემს მშობლებს ამითი... ძალიან მინდა პარიზში და იტალიაში. ნუთუ, რამე შემიშლის ხელს?

20 მარიამობისთვე.

* * *

... თუ გავთხოვდები, ქმრის კისერზედ არასგზის არ ვიქნები. ჩემთვის ვიმუშავებ და ჩემთვის ფულს შევიძენ. რა სამართალია, სხვისი ამაგით ცხოვრება. მე მაგის წინააღმდეგი ვარ.

17 ენკენისთვე.

* * *

... ეჰ! რა დროს პირად გრძნობაზეა ლაპარაკი. ამ დღეებში წყდება საქართველოს ბედ-იღბალი. გათავდა მსოფლიო ომი. ვიფიქრეთ, პატარა და დიდი მტრები ეხლა მოისვენებენო. არა! ახლა პატარებმა, უმნიშვნელო, უსინდისო და კიდევ სხვა ერმა – სომხებმა გამოუცხადეს ომი! მერე ვის? ქართველებს. ლაჩრები. რამდენი სიკეთე ვუყავით, ათასობით ლტოლვილი, გლეხები, შიმშილს და სიკვდილს გადავარჩინეთ, მეზობლებათ და მეგობრებათ ვთვლიდით... გუშინ ულტიმატუმი წამოუყენა სომხის მთავრობამ ერივანისა – ქართველებს. ახალქალაქი, ახალციხე, ჯავახეთი დაგვიცალეთო, თბილისი ნეიტრალურ ქალაქად გახადეთო. შორიდან გულადები, უნამუსოები... ეხლა ისე დავეცემით და გავლაჩრდებით, რომ ესენი ავასრულოთ? სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ. ქართველი ძალიან მომთმენია, მაგრამ მოთმინებასაც აქვს საზღვარი. მსხვერპლი დიდი იქნება. აი, რა არის საშიში, ღმერთო! ნუთუ, მაგისთანა უსინდისო ხალხზე შენი კურთხევა წამოვა! არა მგონია, არა! მაშ, დაიცადეთ, მგონი, დაგავიწყდათ ქართველების მუშტის გემო!!! ძალა რომ მქონდეს მე... რა არის უმაღლესი და ულამაზესი სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობისა.

10 ოქტომბერი, 1918 წელი.

* * *

„გუშინ სასწავლებელში გვქონდა დიდი საღამო-ბალი. ჯერ მანამ ეს გაიმართებოდა, დიდ ფუსფუსში ვიყავით, ვღელავდით და გვეშინოდა, რომ ცუდათ ჩაივლისო, მაგრამ ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა. 7 საათზე, ხალხმა დაიწყო თავის მოყრა. სანამ კონცერტი დაიწყებოდა, რაღაც უცხო ხალხი იყო, მოსწავლეები და წვრილფეხობა. სასიამოვნო არ იყო. თამარა ილინიშნამ, მე, ქეთო და ვავა საჩაიეს ოთახში დაგვაყენა. ბუფეტი შესანიშნავი იყო. ბევრი რამის გემოც ვნახეთ. 9 საათზე, არტისტებიც მოვიდნენ: ვანო სარაჯიშვილი, ინაშვილი, სპიტკო. გავიცანით ინაშვილი. წინად უფრო მომწონდა, როცა ახლო გავიცანი, არ მომეწონა. რას ნიშნავს ახლო? აი, როცა დაველაპარაკე, ახლო ვნახე მისი სახე. შორიდან უკეთესია. თავისი სურათები გვაჩვენა, დემონში გადაღებული. პირველმა სპიტკომ იმღერა, რადგანაც კომერციულ სასწავლებლის საღამოზედაც იყო მიწვეული. სწორედ იმ საღამოს, თითქო ჯიბრზე, კომერსანტებმაც გამართეს ბალი. კონკურენცია იყო ჩვენ და მათ შორის. საკონცერტო განყოფილება ძალიან კარგი იყო. 12 საათზე, ცეკვა გაიმართა. ბევრი ვითამაშე, ძალიან დავიღალე კიდეც. თვალები მიჭრელდებოდა, როცა მაგდენ თავებს ვხედავდით. კორიდორებში გამოვედით დასასვენებლად, როცა გოგა, მე, ქეთო, გუგული და ბევრი სხვა, ჩვენი ჯგუფისა შევედით პატარა სასტუმრო ოთახში და ცალკე ცეკვა გავმართეთ. იქვე როიალი იდგა, გუგული მამაცაშვილი უკრავდა. ჩვენ კი ყველაფერს ვცეკვავდით, ტანგოსაც კი. მერე ჩაჩნური მათამაშეს, ყველას ძალიან მოეწონა. მუსიკა მშვენიერი იყო. ხალხი ძალიან ბევრი იყო და კინაღამ ჩხუბი არ მოუვიდათ ზოგიერთ სამხედრო პირებს, მაგრამ გააშველეს. 11 საათზე, პაოლო იაშვილი მოვიდა. მივესალმეთ და ყვავილები მივეცით. შემდეგ კოპალიც მოვიდა და ვახშმისთვის სულ კარგი ხალხი დარჩა. პირველ საათზე, თუ ორის ნახევარზე, ვახშამზე დასხდნენ. პაოლო პულუმბაშათ იყო. აუქციონზე შამპანური ორ ათასად გაჰყიდა. ძალიან ყვიროდა და დაიღალა. ესტრადაზე მე და ქეთო აგვიყვანა და იქ გვეჭირა ბოთლი. სხვები ფულს აგროვებდნენ. კაბარეს დროს, პაოლომ და კოპალმა ლექსები წაიკითხეს. სახაზინო თეატრიდან მოიპატიჟეს მოცეკვავეები და მომღერლები. ძალიან კარგი იყო. ჩემ მაგიდიდან ბლომად ავიღე ფული. ძალიან ბევრნი მოვიდნენ კომერციულ სასწავლებლის საღამოდან ჩვენ ვახშამზე. 4 საათზე, ხალხო წავიდ-წამოვიდა. თამარ ილინიშნამ ძლივს გააბრძანა ზოგიერთი მთვრალი სამხედრო პირი. მერე დავრჩით მე, ელო, ტასო, ნიცა, ბეჟანიშვილი და რცხილაძე. თითქმის მთელი მეექვსე კლასი, ზოგიერთნი VI-ა-ადან, პაოლო, ლელი, კოპალი, ყველა მასწავლებლები, დირექტორი, გამგე თავის მახლობლებით, 8 აფიცრებამდინ, სუსანა, მედია, აფხაზი ნიკუშა და სხვ. გავმართეთ ცეკვა. მუსიკა წავიდა და როიალზე ვუკრავდით. აქ უფრო კარგად გავატარეთ დრო, მე პირველად ვიყავი საღამოზე და ისე ნასიამოვნები არასოდეს არ დავრჩენილვარ. მათამაშეს ჩაჩნური. პაოლო და კოპალი არ მშორდებოდნენ. იცინოდნენ და მიხაროდა, რომ ჩემ მიერ დაპატიჟებულნი, კარგად ატარებდნენ დროს. ხუთ საათზე, ვახშამი გადამადებდა მხარზე თავს, ხან ელოს. მეც სანაძლეოზე ვჭყიპავდი. რცხილაძე ხომ კინაღამ მოკვდა. სულ გასულელდა და რაღაცეებს ბუტბუტებდა. ოჰ, რამდენი ვიცინეთ.

8 საათზე, სახლში დავაპირეთ წასვლა. არ გვიშვებდნენ, მაგრამ მაინც წავედით. მე-6 კლასი და დანარჩენი წინ წავიდნენ. ვაჟები, მე, სუსანა და მედია ერთად გამოვედით. აი, აქ იყო, რაც იყო. სახლამდინ არ მომიკუმია პირი, გიჟივით ვიცინოდით. სასწავლებლიდან რომ გამოვედით, პაოლომ მოტეხა ერთი დიდი ტოტი ხისა, შუა ქუჩაში დადგა და ყვირილი დაიწყო, გაიღვიძე, მინისტრო ევგენი გეგეჭკორო! გეგეჭკორი იქვე სდგას (ცხოვრობს). ქუჩაში ვინც კი არ შეხვდებოდა, ხელს ართმევდა, ქუდს უხდიდა და ჰკოცნიდა კიდეც. ერთი „ტაჩკა“ დაინახა, შიგ ჩაჯდა და ყვირის, მცხეთაში მივდივარო, იმ დღეს კურთხევა იყო კათალიკოსის ლეონიდის. იქიდან ჩამოაბრძანეს, ისე ვხმაურობდით, რომ ყველა ფანჯარაში იყურებოდა ღამის საცვლებში. პაოლო და კოპალი ქუდს უხდიდნენ და კოცნას უგზავნიდნენ. პირველნი სირცხვილისგან იმალებოდნენ. შეგვხვდა ერთი დროგი ჭარხლით. პაოლომ მისცა მედროგეს 5 მანეთი და 4 დიდი ჭარხალი ამოაცალა და გადმოგვიგდო, ერთი საჩაიეში შეიტანა და უთხრა, სადილისთვის ჭარხლის სუფი გამიკეთეთო. მეორე მუშას ჩაუჩხირა პირში. ორი ვირი მოდიოდა, ზედ შეაჯდა და გარეკა. ტრამვაი გაივლიდა დ თავს უკრავდნენ ყვირილით: „Здравствуй, душечка. Оля, Маруся, Таня!..“ კოპალი და ერთი ავიატორი ციციშვილი აჰყვა. როცა სახაზინო თეატრს მივუახლოვდით, მუსიკის ხმა მოგვესმა. დავინახეთ ქართული ჯარი, ქართული დროშით მიმავალი მცხეთაში. კოპალმა და პაოლომ ორი უშველებელი თაიგული იები გვიყიდეს. მე და სუსანას ყველაზე დიდები მოგვცეს. დავდექით შუა გზაში და ჯარი რომ მოგვიახლოვდა, ყველას დავურიგეთ პატარ-პატარა თაიგულები და მერე თავზე, ვაშას ძახილით გადავაყარეთ. ჯარი შედგა და ქართული სიმღერა დასძახეს. პაოლომ ექსპრომტები უთხრა. მერე ჯარს უკან მარშით გავყევით. ხალხი გვიყურებდა და უკან მოგვდევდა ცქერით. ყველა ფანჯრებიდან გვიცქერდნენ. 9 საათი იყო. ხალხი ძალიან ბევრი იყო. დავეწიეთ დანარჩენ მოწაფეებს და ყველა ერთდ წავედით. პაოლომ, ციციშვილმა და კოპალმა დაინახეს ერთი მზარეული, რომელიც ფანჯარაში იდგა. რკინის ღობე ჰქონდა გაკეთებული. როგორც ნადირის, ისე ბრაზება დაიწყეს, თითს აჩვენებდნენ. ეღრიჭებოდნენ. იმანაც ვეღარ მოითმინა და წყალი შეასხა. ერთი თათრის დუქანში შევიდა პაოლო, აიღო დიდი ვაშლი და მთელ ქუჩაში მიყვირის, მარო, მაყაშვილის ქალო, ვაშლი, ვაშლი დაიჭირეო და გადმომიგდო. მე ძლივს დავიჭირე. მერე აიღო რაღაცა და მეუბნება, რა მაქვსო თქვენთვის, რაო! მე მივედი და ხახვი ჩამიდო ხელში.

ჩაგვაცივდნენ, მცხეთაში უნდა წამოხვიდეთო თქვენ და სუსანაო ავტომობილით...“

1919 წელი. 23 თებერვალი.

* * *

1919 წ. ... მთვარის შუქზე ვწერ ჩემს დღიურს, სასიამოვნოა... გუშინ, არ ვიცი, რათ, მგალობლიშვილებთან ამივარდა საშინელი ქვითინი, ისეთი, რომ თითქმის 1 საათი ვტიროდი. ამომიჯდა გული. ვეკითხები ჩემ თავს, რა არის, მაგრამ იგი სდუმს და პასუხს არ მაძლევს. რა მიზეზია, არ ვიცი...

30 ივლისი... საყვარელო მამა! მე ჯერჯერობით კარგად ვარ. სულ ერთი პოზიციისგან, 112 ვერსზე ვართ, მეორისგან 5 თუ 7-ზე. მტერი ჯერ შორს არის, ძალიან სცხებენ ჩვენები. ძალიან აღფრთოვანებულები არიან. ცოტა თხილი და თუ შესაძლებელია, რამე ტკბილეული გამოგზავნეთ... თავს გაუფრთხილდით. გკოცნით ბევრს. ისე არა ცივა. მოკითხვა ყველა ჩვენებს. ნუ გეშინიანთ. გავიმარჯვებთ სახელოვნად.

შენი მარო

ნაპოლეონის ძეგლში დამალული სკივრის საიდუმლო

რუანში მდებარე სასტუმრო-დე-ვილის მოედანზე, ნაპოლეონის ძეგლი საიდუმლოს ინახავდა. 2020 წლის 2 ივლისს, როდესაც ქალაქის სამსახურებმა ბრინჯაოს ქანდაკება მოხსნეს, პოსტამენტში (საყრდენი, რომელზეც დგამენ ქანდაკებას) აღმოაჩინეს მე-19 საუკუნით დათარიღებული ზარდახშა.

„ეს მოულოდნელი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, დამფუძნებლები ამას ხშირად აკეთებენ, ტოვებენ ხელმოწერას, ან სხვა ელემენტებს“, - ამბობს მუნიციპალური მრჩეველი, ელიზაბეტ ლაბაი, რომელიც პასუხისმგებელია ტურიზმსა და მემკვიდრეობის სფეროზე.

მიუხედავად იმისა, რომ ზარდახშა ივლისში აღმოაჩინეს, ამ საიდუმლოს ფარდა ნელა ეხდება. მისი შინაარსის გაშიფვრას ახალი მუნიციპალური გუნდი ახლახანს შეუდგა. ობიექტი დეკემბრამდე დახურული იყო. მისი გახსნის შემდეგ, სპეციალისტებმა აღმოაჩინეს დოკუმენტების შეკვრა.

ელიზაბეტ ლაბაი ამბობს, რომ **„დოკუმენტებში არის სახელები და გვჯერა, რომ ესენი არიან ის დონორები, რომლებმაც ნაპოლეონის ქანდაკების დადგმას შეუწყვეს ხელი“.**

ტენიანობისგან დაზიანებული დოკუმენტები გადატანილ იქნა უწყებრივ არქივში.

„საჭირო იყო მათი სპეციალურ ტემპერატურაზე განთავსება, რომ არ გამოშრეს ჰაერში“, - განუმარტა ქალაქის მრჩეველმა France Bleu-ს.

რუანის მერიამ, რომელიც კულტურულ საქმეთა რეგიონალურ დირექტორატთან ერთად მუშაობს, პერგამენტის აღდგენისა და შენახვის საკითხებში, ექსპერტებს დახმარება სთხოვა.

საიდუმლო საცავში მოთავსებული კიდევ ერთი ობიექტი, დაახლოებით, 20 სანტიმეტრის ლატუნისის მილია. თვითონაც შეიცავს საგანს, რადგან წკარუნის ხმა ისმის, როდესაც მას აქანებენ. „იქნებ, მედალია?“ - ეკითხება მრჩეველი ექსპერტს. თუმცა ვიდრე სპეციალისტები ამ მილს არ გახსნიან, შეუძლებელია მისი საიდუმლოს გაგება.

ვიდრე ნაპოლეონის ქანდაკება Yvelines-ის ჩამოსასხმელ ქარხანაში რესტავრაციას ელოდება (შეკეთება უნდა გაგრძელდეს რამდენიმე თვის განმავლობაში), ამ პერიოდის გამოყენებას, რუანის მერი, ნიკოლას მაიერ-როსინიოლი ცდილობს. იგი აპირებს, ქანდაკების ადგილის მომავალზე, „დებატებსა და მოქალაქეებთან კონსულტაციას“ მოახმაროს დრო.

„მშვენიერი იქნებოდა, რომ რუანი ყოფილიყო საფრანგეთის პირველი ქალაქი, სადაც მოეწყობოდა Place de la Mairie-ზე ქანდაკება, ან ხელოვნების ნიმუში, რომელიც მიეძღვნებოდა ჟიზელ ჰალიმს, ქალთა უფლებებისათვის მებრძოლ ფიგურას. დებატები ღიაა!“ - დაწერა რუანის მერმა სექტემბერში, Twitter-ის საკუთარ ანგარიშზე.

ადვოკატი, რომელმაც სიცოცხლე მიუძღვნა ქალთა საქმესა და აბორტის უფლებას, გარდაიცვალა 2020 წლის 28 ივლისს, 93 წლის ასაკში. ქალაქის მცხოვრებლებს მიიწვევენ, რათა აირჩიონ, ვისი ძეგლი უნდა განთავსდეს სასტუმრო-დე-ვილის მოედანზე. ეს გადაწყდება კონსულტაციის დროს, რომელიც სექტემბერში უნდა დაიწყოს.

სტალინის 70 წლის წინ დამარხული ძეგლი იპოვეს

არხანგელსკის ოლქში, სტალინის ძეგლი მიწაში იპოვეს. იგი კომპარტიის აქტივისტებმა ამოთხარეს და გადაწყვიტეს, რომ არხანგელსკის ოლქის ახალ პარკში დაემონტაჟებინათ. სავარაუდოდ, ქანდაკება მიწაში იყო 50-იანი წლებიდან. ის მშვენივრადაა შენახული. მართალია, წლების განმავლობაში, ბელადმა ცხვირი დაკარგა, მაგრამ ძეგლი უკვე აღდგენილია და მის აღმართვას 9 მაისამდე აპირებენ.

„ვითხოვთ, სტალინის ძეგლის დადგმას არხანგელსკის რაიონის ქალაქ კარგოპოლის ახალ პარკში“, - ასეთი წინადადებით, რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის ადგილობრივი ფილიალის აქტივისტებმა მუნიციპალურ ხელისუფლებას მიმართეს. კარგოპოლსკის რაიონის ადმინისტრაციამ, გამოკითხვა მოაწყო სოციალურ ქსელ „ვ კონტაკტე“-ს ხელმომწერებს შორის, ძეგლის დამონტაჟებასთან დაკავშირებით. 18 თებერვლის დილის მონაცემებით, 1 700 ადამიანიდან, ვინც ხმა მისცა, უმრავლესობა (71.4%) ამ ინიციატივის წინააღმდეგია.

მონუმენტი სტალინის ბიუსტია კიტელით, თაიგულითა და ბავშვით ხელში. ძეგლი კარგოპოლში, 2020 წლის ივნისში ჩაიტანეს და უკვე კვარცხლბეკის დამზადებაზე მუშაობენ.

2020 წლის ოქტომბერში, რუსეთის კომუნისტური პარტიის კარგოპოლის ადგილობრივმა ფილიალმა, სამხედრო დიდების ახალ პარკში ძეგლის დამონტაჟების შესახებ კვლევა ჩაატარა, რომელშიც 195 ადამიანი მონაწილეობდა. მოსახლეობისადმი მიმართვაში, კომუნისტები მიუთითებენ, რომ მხოლოდ ხუთმა გამოთქვა უთანხმოება.

კარგოპოლი პატარა ქალაქია არხანგელსკის რეგიონში, რომლის მოსახლეობაც, დაახლოებით, 10 000 ადამიანია. ქალაქი პირველად, XII საუკუნის ქრონიკებში მოიხსენიება. კარგოპოლი რუსეთის ჩრდილოეთით, ერთ-ერთ უძველეს ქალაქად ითვლება.

დღემდე შემორჩენილი შენობების უმეტესობა მე-17, მე-18 საუკუნეებში აშენდა. კარგოპოლში 11 ეკლესიაა - რუსული თეთრი ქვის არქიტექტურის ძეგლები. 1937 წელს, აქ Kargopollag-ი - გულაგის ერთ-ერთი ბანაკი მდებარეობდა. კარგოპოლის მუზეუმის მონაცემებით, მასში 30 000-მდე პატიმარი იმყოფებოდა.

ახალი საღეჭი რეზინი გარემოს არ აბინძურებს

აშშ-ს სუპერმარკეტებში, ბრიტანელი სწავლულების მიერ შექმნილი საღეჭი რეზინია გაყიდვაში, რომელიც 24 საათში იშლება, არ ეწებება, ადვილად ირეცხება და არ აბინძურებს ქალაქის ქუჩებს. პროდუქტი, რომელსაც ავტორებმა Rev-7 უწოდეს, როგორც გარეგნულად, ასევე, გემოთიც ჩვეულებრივ საღეჭ რეზინს ჰგავს, თუმცა მისგან განსხვავებით, ის წყალში იხსნება, ძირს დავარდნისას არ ეწებება ასფალტს და ქუჩების დასუფთავებისას ადვილად ქრება.

ახალი საღეჭი რეზინი მინერალურ ნივთიერებებად იშლება, რომლებიც, თავის მხრივ, ბიოლოგიურ ხრწნას ექვემდებარებიან. როგორც ვარაუდობენ, ბრიტანელების ამ გამოგონებამ პრაქტიკული სარგებელიც უნდა მოიტანოს – ბიუჯეტიდან, წელიწადში, 150 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაიზოგება, რასაც მიწებებული საღეჭი რეზინის მოსაცილებლად საჭირო ქიმიკატებისთვის ხარჯავდნენ.

მომავალში, ინგლისელი სწავლულები ისეთი ნივთიერების გამოგონებას აპირებენ, რომლითაც კედლებს შეღებავენ. ასეთი ნივთიერებით დაფარულ კედელზე, შეუძლებელი იქნება, რამე წააწეროთ, ან დახატოთ.

სამკურნალო ლაქი კიბოს წინააღმდეგ

ვინ იფიქრებდა, რომ სიმსივნით დაავადებული ადამიანები, ფრჩხილებისთვის განკუთვნილი ჩვეულებრივი ბალზამის წყალობით, მნიშვნელოვნად შეიმსუბუქებდნენ ცხოვრებას. ასეთ ბალზამში არსებული ნატურალური ზეთებისა და მცენარეული ექსტრაქტების წყალობით, შესაძლებელია, ქიმიოთერაპიის შემდგომი, ზოგიერთი გართულების შემსუბუქება. ამ სპეციალური ფორმულის საფუძველი, რომელიც კლინიკა Addenbrooke's Hospital-ის სპეციალისტებმა შეიმუშავეს, სამკურნალო ზეთები და მცენარეებია.

ხშირად, ქიმიოთერაპიას ისეთი არასასურველი შედეგები მოჰყვება, როგორებიცაა თმის ცვენა, ფრჩხილების აძრობა და ხანდახან, მათ ადგილას ჩირქოვანი წყლულების გაჩენა, რასაც უსიამოვნო სუნიც თან სდევს. ასეთ პაციენტებს სირთულეები ექმნებათ ელემენტარული ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრაშიც.

სწავლულები ამტკიცებენ, რომ ონკოპაციენტებს შეუძლიათ ფრჩხილებისთვის განკუთვნილი ბალზამი გამოიყენონ, რომლის რეცეპტიც თავად მოიფიქრეს – მასში შედის ნატურალურ კომპონენტებზე დამზადებული ოთხი ზეთი, რომელთა მოქმედებითაც, ანტიბაქტერიული და ანტისოკოვანი ეფექტი მიიღწევა. ამჟამად, სპეციალური ბალზამი გამოცდას გადის 30 პაციენტზე, რომლებიც ქიმითერაპიის კურსს იტარებენ.

მარილიანი საკვები სტრესს მოგიხსნით

ნატრიუმი, რომელსაც მარილიანი საკვები შეიცავს, შფოთვასთან დაკავშირებულ ჰორმონ ანგიოტეზინს ახშობს. ამერიკელი სწავლულები ცინცინატის უნივერსიტეტიდან, საკუთარი კვლევების საფუძველზე ამტკიცებენ, რომ მარილიანი კერძები ადამიანს სტრესის დაძლევაში ეხმარება.

მათი თქმით, ასეთ საკვებში ნატრიუმი ახშობს ანგიოტეზინს და ხელს უწყობს ჰორმონ ოქსიტოცინის გამომუშავებას, რომელიც ორგანმიზმზე დამამშვიდებლად მოქმედებს, მთლიანობაში კი, ადამიანის მდგომარეობა ჰარმონიული ხდება. მართალია, კვლევა ლაბორატორიულ თაგვებზე მიმდინარეობდა, მაგრამ სწავლულების მტკიცებით, ეს პროცესები ადამიანშიც ანალოგიურად მიმდინარეობს.

მამაკაცს საკეისრო გაუკეთეს

აშშ-ში, 34 წლის მამაკაცი აპირებს, სასამართლოში უჩივლოს საავადმყოფოს, რადგან მას შეცდომით საკეისრო კვეთა ჩაუტარეს. როგორც ცნობილი გახდა, ლესლი მორგან უაითს ჭარბი წონა აწუხებს. გასულ კვირას, მან სასწრაფო დახმარება გამოიძახა, რადგან მკერდში ძლიერი ტკივილი იგრძნო.

უაითი სენტ-მეთიუზის სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს, სადაც ის დაუყოვნებლივ მოათავსეს სამშობიარო განყოფილებაში და მაშინვე ანესთეზია გაუკეთეს. "ნუთუ, ჩემი გენიტალიები ვერავინ შენიშნა?" – იკითხა გამოფხიზლებულმა და მომხდარით აღშფოთებულმა პაციენტმა. მისი მტკიცებით, საკეისრო კვეთიდან, ლამის ნახვარი საათი იყო გასული, ვიდრე ექიმები, საბოლოოდ, გულის შეტევის დიაგნოზს დასვამდნენ.

ყურძენი გულის პრობლემებს უმკლავდება

მავნე ჩვევებზე უარის თქმით, სპორტითა და სწორი კვებით, ბევრ სერიოზულ დაავადებას ავიცილებთ თავიდან. ექსპერტების თქმით, ზოგიერთ დაავადებას ის პროდუქტი უმკლავდება, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომია და ასეთი პროდუქტი ყურძენია. მისი ერთი მტევანი, კა-ვიტამინის დღიური ნორმის 28%-ს შეიცავს – იმ საკვებ ნივთიერებას, რომელიც ძვლებისა და გულის ჯანმრთელობისთვისაა საჭირო. გარდა ამისა, ერთ მტევან ყურძენში, 288 მგ კალიუმია, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს წნევის დაწევაში.

წითელი ყურძენი იმ ნაერთებს შეიცავს, რომელიც ქოლესტერინის „ცუდ“ დონეს აქვეითებს. კვლევებმა აჩვენა, რომ ამ პროდუქტის მოხმარება ხელს უწყობს არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ, კოგნიტურ ჯანმრთელობასაც. ყურძენში არსებული ანტიოქსიდანტები, ორგანიზმს – თავისუფალი რადიკალებისგან, უჯრედებს კი სტრესისგან იცავენ, რომელიც გულის დაავადებებს, დიაბეტსა და სიმსივნეს უკავშირდება.

მაკარონი-საკურა გამოუშვეს



ამომავალი მზის ქვეყანაში, საკურას ყვავილობის ხანას სულმოუთქმელად ელოდებიან, თუმცა კომპანია Tamaya Seimen-ის წყალობით, იაპონელებს ამ სიამოვნების მიღება ახლავე შეუძლიათ. უფრო სწორად, წლის ნებისმიერ დროს, მათ შეუძლიათ, არა მარტო დატკბნენ საკურას ნაზი ვარდისფერი ყვავილების ცქერით, არამედ, დააგემოვნონ კიდეც ის.

ამისთვის საკმარისია, შეიძინონ მაკარონი, რომლის ფორმა და ფერი საკურას ყვავილებისას ჰგავს. მაკარონის ფერი ჭარხლის წვენით მიიღეს. კომპანიის დიზაინერები თანამემამულეებს ურჩევენ, ასეთი პასტა დაამატონ სალათებსა და სუპებს, რადგან მაკარონის ერთი ვარდისფერი ყვავილიც კი, კერძს რომანტიულს გახდის. საკურა-პასტის ერთი შეფუთვის ფასია 400 იენი – დაახლოებით, 4 დოლარი.

მაიკლ ჯორდანი კლინიკას აშენებს

NBA-ს ყოფილი ვარსკვლავი, მაიკლ ჯორდანი კლინიკას აშენებს იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც სამედიცინო დაზღვევა არ აქვთ. ლეგენდარულმა კალათბურთელმა, ჩრდილოეთ კაროლინაში, სავადმყოფოს ასაშენებლად 10 მილიონი დოლარი გაიღო. კლინიკის გახსნა ჯორდანის მშობლიურ ქალაქ ვილმინგტონში, მომავალ წელს იგეგმება და დაუზღვეველ მოქალაქეებს მოემსახურება.

„ხარისხიანი სამედიცინო სერვისი ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ვილმინგტონი ჩემს გულში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს და მინდა, მადლიერება გამოვხატო იმ საზოგადოების მიმართ, ვინც მთელი ცხოვრება მხარს მიჭერდა“, – განაცხადა სახელგანთქმულმა კალათბურთელმა.

სპორტსმენისთვის ამგვარი ქველმოქმედება პირველი არ არის – ჯერ კიდევ 2017 წელს, ჯორდანმა 7 მილიონი დოლარი გაიღო და შარლოტში ორი კლინიკა ააშენა.

რძე ბარდისგან მიიღეს

ძროხის რძის ახალი ალტერნატივა საკმაოდ უჩვეულო პროდუქტისგან – ბარდისგან შექმნეს. ამ ახალი სასმელის ავტორია ამერიკული კომპანია – Ripple. პარკოსნისგან მიღებული რძე, ერთ პორციაზე, 8 გრამ ცილას შეიცავს. აღსანიშნავია, რომ იგივე რაოდენობის ცილას შეიცავს ძროხის რძეც. კომპანიის გათვლებით, ვინაიდან ზოგიერთ სასმელს არ ჰყოფნის ცილა, ახალმა პროდუქტმა, შესაძლოა, მომხმარებელი დააინტერესოს. იგივეს ფიქრობენ სპეციალისტებიც, რადგან ბარდის რძე 50%-ით მეტ კალციუმს შეიცავს, ვიდრე ძროხის რძე. გარდა ამისა, ბარდის რძეში ნაკლები შაქარი და მეტი ომეგა-3 ცხიმმჟავებია. ასეთი პროდუქტის წარმოებისას, გაცილებით ნაკლები ნახშირმჟავა აირები გამოიყოფა, ვიდრე ნებისმიერი რძის პროდუქტის დამზადებისას.

მიუხედავად ამისა, ახალ რძეს ნაკლიც აქვს – პირველ რიგში, ეს მისი არომატია. კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ დააპატენტეს ახალი ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა, შენარჩუნებულ იქნას ბარდის საკვები ნივთიერებები, ხოლო გემოსა და ფერს მოაშორებენ. ეს შესაძლებელი გახდება, თუ მასში წყალს, მზესუმზირის ზეთსა და სტაბილიზატორებს დაამატებენ. მწარმოებლებმა სასმელის ოთხი სახეობა გამოუშვეს: ორიგინალური, ორიგინალური არატკბილი, ვანილისა და შოკოლადის. პროდუქტი, პირველ რიგში, მათთვისაა განკუთვნილი, რომლებსაც ლაქტოზისა და გლუტენის აუტანლობა აწუხებთ. ერთი ბოთლი ბარდის რძის ღირებულება, დაახლოებით, 5 დოლარი იქნება.

განწყობას სუპერ-აბი აგიმაღლებთ

მელბურნის უნივერსიტეტის თანამშრომლები სუპერ-აბის კლინიკურ ცდებს ატარებენ, რომელსაც ადამიანის განწყობის გამოკეთება შეუძლია. აბის შემადგენლობაში შედის ხუთი ბუნებრივი დანამატი. ეს პრეპარატი მათ დასახმარებლადაა განკუთვნილი, რომლებსაც ანტიდეპრესანტები არ შველით. ის სხვადასხვა ნაერთს შეიცავს, ასევე, თუთიასა და ფოლიუმის მჟავას. მთლიანობაში, აბი ანტიდეპრესანტი არაა და ის ურეცეპტოდაც გაიყიდება.

ტრადიციული დამაწყნარებლებისგან განსხვავებით, ეს ახალი საშუალება არ არის მიმართული გარკვეული მექანიზმისკენ. პრეპარატი ზემოქმედებს მთელ რიგ ნეირობიოლოგიურ პროცესებზე. მაგალითად, თუთია და ომეგა-3 ანთებას ხსნის. არის ვერსია, რომ დეპრესიას ანთება იწვევს და ავსტრალიელი სწავლულები დარწმუნებულნი არიან, რომ მათი სუპერ-აბი, ანტიდეპრესანტებზე გაცილებით ეფექტური იქნება.

ჩაი აპოკალიფსისთვის

კრეატიულმა სააგენტომ მადრიდიდან – Niiiiice, ირონიული სარეკლამო კამპანია წამოიწყო ჩაისთვის The End, რომელიც სამყაროს დასასრულს „სიამოვნებით“ შეგვახვედრებს. კლიენტებს ბალახეულებზე დამზადებულ კომპოზიციებს სთავაზობენ, რათა მომზადებულნი შეხვდნენ მეტეორის შეჯახებას, მასშტაბურ ხანძრებს, ცუნამს, ვირუსებს, ბირთვულ ომსა და ამებებს, რომლებიც ტვინს ჭამენ. „დატკბით გარდაუვალით“ – ასე ჟღერს ამ კამპანიის ლოზუნგი.

ჩაის ხაზში ყველაზე აქტუალურია Pandemic Chill-ის მიქსი, რომელიც ლიმონისა და კოჭას ჰარმონიული შერწყმაა და კორონავირუსის პანდემიას უკავშირდება. ასორტიმენტშია, ასევე, Meteor Calm – კატაბალახათი და გვირილით, Nuclear Detox – ვანილითა და დარიჩინით, Peace Invasion – ლავანდითა და ჰიბისკუსით და Mint Wildfire – პიტნითა და როზმარინით, რომელსაც დამამშვიდებელი მოქმედება აქვს.

„ახალი ბირთვული ომი, კლიმატის ცვლილება, ცუნამი და ტვინისმჭამელი ამებებიც სასიამოვნოდ მოგეჩვენებათ, თუ ხელში ცხელი ჩაის ფინჯანი გიჭირავთ“, – დარწმუნებულნი არიან კომპანიის წარმომადგენლები.

მარტოობის მინისტრი დანიშნეს

იაპონიის პრემიერ-მინისტრმა, რეგიონული განვითარების მინისტრ საკამოტოს დაავალა, საკუთარ თავზე აიღოს ქვეყნის მცხოვრებლების იზოლაციასა და მარტოობასთან ბრძოლის ვალდებულება. ამ მიზნისთვის ცალკე შეიქმნება უწყება, რომელსაც საკამოტო უხელმძღვანელებს. პრემიერის განცხადებით, კორონავირუსის პანდემიამ უფრო გაამძაფრა საზოგადოებაში არსებული პრობლემები, კერძოდ, თვითმკვლელობათა საკმაოდ ხშირი შემთხვევები.

კვლევებით დადასტურდა, რომ ქალებს იზოლაცია უფრო ძნელად გადააქვთ, ვიდრე მამაკაცებს – სუსტი სქესის წარმომადგენლებში სუიციდის შემხვევები მნიშვნელოვნად გაიზარდა. საკამოტომ პირობა დადო, რომ მოძებნიან მეთოდებს სოციალური მარტოობის აღსაკვეთად და ადამიანებს კავშირების შენარჩუნებაში დაეხმარებიან.

მფრინავ მანქანას გაისად შეიძენთ

პირველი მფრინავი მანქანა, რომელიც საათში 161 კილომეტრის სიჩქარით მოძრაობს და ზღვის დონიდან 3048 მეტრამდე შეუძლია ფრენა, მომავალი წლიდან, ხელმისაწვდომი გახდება. კომპანია Terrafugia-მ უკვე მიიღო მსუბუქი სპორტული საჰაერო ხომალდის სერტიფიკატი.

მფრინავ მანქანას, რომელსაც Terrafugia Transition ჰქვია და 590 კილოგრამს იწონის, 8 მეტრის სიგრძის დასაკეცი ფრთები აქვს. დაკეცვის შემდეგ, ის თავისუფლად ეტევა სტანდარტულ ფარეხში. ამჟამად პილოტებს შეუძლიათ შეიძინონ ის მოდელები, რომლებიც ბენზინზე ან თვითმფრინავის საწვავზე მუშაობენ.

ორადგილიანი ჰიბრიდის გამოშვებას კომპანია 2022 წელს გეგმავს. მფრინავი მანქანის მფლობელს მოეთხოვება, როგორც ავტომობილის მართვის მოწმობა, ასევე, სპორტული პილოტის სერტიფიკატი.

ქმარს ორიგინალური საჩუქარი გაუკეთა

ჩავლილ ვალენტინობის დღესასწაულზე, სხვადასხვა სოციალური ქსელი, ერთმანეთისთვის მიძღვნილი ტრადიციული თუ ორიგინალური საჩუქრების ფოტოებითა და ვიდეოებით აივსო. ერთ-ერთი ასეთი განსხვავებული „ძღვენი“, TikTok-ის მომხმარებელმა გლორიამ გამოაქვეყნა – სიყვარულის დღეს, მეუღლეს დაბეჭდილი ფოტოები აჩუქა.

„ყველა თქვენგანი, ვალენტინობის საჩუქრების ვიდეოებს აზიარებთ. მე ჩემს ქმარს ის ფოტოები დავუბეჭდე, რომლებსაც „ინსტაგრამზე“ „ალაიქებდა“, – დაწერა ქალმა. მის ვიდეოს უკვე 15 მილიონი ნახვა და 2.2 მილიონი მოწონება აქვს.

ზოგმა გლორიას ორიგინალური საჩუქარი დაიწუნა და შერცხვენის მცდელობად ჩათვალა. მიუხედავად ამისა, ქალი აღნიშნავს, რომ მას და მის ქმარსაც იუმორის კარგი გრძნობა აქვთ და დღესასწაულზე გაკეთებული ეს „იდეალური“ საჩუქარი, მეუღლეს ძალიან მოეწონა.

მიშელ ობამა საბავშვო შოუს წაიყვანს

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პირველი ლედი, მიშელ ობამა Netflix-ზე საბავშვო კულინარიულ შოუს წაიყვანს. ამის შესახებ მან თავად დაწერა „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე. ახალი შოუ, რომელსაც Waffles + Mochi ჰქვია, ეთერში მარტიდან გავა და 10 ეპიზოდისგან შედგება.

ქალბატონი ობამა შოუს აღმასრულებელი პროდიუსერია. კულინარიულ გადაცემაში, მიშელი სუპერმარკეტის მფლობელის როლს შეასრულებს, თოჯინები კი მისი თანამშრომლები და დამწყები მზარეულები იქნებიან. კულინარიული გადაცემის მიზანია, ბავშვებში საჭმელების მომზადების სურვილი და სიყვარული გააჩინოს და უარი ათქმევინოს ფასტფუდზე.

რობოტი ადვოკატი გახდა

საადვოკატო ბიურომ Baker & Hostetler, სამსახურში რობოტი მიიღო, რომელიც კომპანია IBM-ის მიერ არის შექმნილი. ხელოვნური ინტელექტი განიხილავს კომპანიების გაკოტრებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ციფრულ „ადვოკატს“ შეუძლია გაიგოს ადამიანის საუბარი, მოიძიოს ინფორმაცია, პასუხი გასცეს ჰიპოთეზებით და არგუმენტები მოიყვანოს პროფესიული ლიტერატურიდან.

ეს ხელოვნური თანაშემწე, დიდი რაოდენობით ინფორმაციას „ეცნობა“ და მეტ-ნაკლებად, რელევანტურ პასუხებს იძლევა. რობოტი, რომელსაც ავტორებმა „როსი“ დაარქვეს, კომპანიის მიერ შექმნილი კოგნიტური სისტემის – Watson-ის საფუძველზე მუშაობს. მათივე განცხადებით, ის მსოფლიოში პირველი რობოტი-ადვოკატია.

„კოკა-კოლა“ გადამუშავებად ბოთლებს გამოიყენებს

აშშ-ში, პლასტმასის ნარჩენების შესამცირებლად, კომპანია „კოკა-კოლა“, 100%-ით გადამუშავებადი ბოთლების გამოყენებას იწყებს. „როიტერის“ ინფორმაციით, ეს პროექტი არა მხოლოდ პლასტმასის ნარჩენებს, არამედ, გარემოში ნახშირბადის გამოყოფასაც შეამცირებს. თებერვლის ბოლომდე, ფლორიდასა და კალიფორნიის შტატებში, „კოკა-კოლა“ უკვე ჩაუშვებს გადამუშავებადი პლასტმასის პროდუქციას.

აღსანიშნავია, რომ პლასტმასით გარემოს დაბინძურების გამო, კომპანია არაერთხელ მოქცეულა საზოგადოების კრიტიკის ცენტრში. გამოცემა „ნესტლესა“ და „პეპსიკო“-ს შესახებაც წერს – ორივე კორპორაცია, გარემოს ყველაზე მეტად დამაბინძურებელ მწარმოებლებს შორის, მოწინავე პოზიციებზეა. უახლოეს მომავალში, გარემოს დაცვის მიზნით, „ნესტლე“ და „პეპსიკოც“ გარკვეულ ნაბიჯებს გადადგამენ.

მჯდომარე მუშაობის „სასიკვდილო დოზა“ დაადგინეს

ბრაზილიელი მკვლევარების მოსაზრებით, ერთ ადგილზე დიდხანს ჯდომა, კერძოდ, მუშაობის დროს, ასევე, მისგან გამომდინარე ნაკლები მოძრაობა, სიცოცხლის „დამოკლების“ სერიოზულ ფაქტორს წარმოადგენს. როგორც სწავლულებმა დაასკვნეს, ზოგჯერ, სწორედ ეს ფაქტი იწვევს ადამიანების სიკვდილს. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ლეტალური შედეგების დაახლოებით 4%, გადაჭარბებული მჯდომარე სამუშაოსა და ასეთი ცხოვრების წესის „დამსახურებაა“.

ბრაზილიელებმა სკამზე ჯდომის „სასიკვდილო ლიმიტის“ განსაზღვრაც შეძლეს, რომლის გადაჭარბებაც ნეგატიურ გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე. პირიქით – დროის შემცირება კი სიცოცხლის გახანგრძლივებას უწყობს ხელს. ციფრების ენით რომ ვთქვათ, ადამიანს შეუძლია სიცოცხლე 0.2 წლით გაიხანგრძლივოს, თუ ის მჯდომარე პოზაში ყოფნას, დღეში სამ საათამდე შეამცირებს. სწავლულები ასეთ დასკვნამდე, ბოლო 15 წლის განმავლობაში, სიკვდილიანობის სტატისტიკის შესწავლის შედეგად მივიდნენ, რომლის დროსაც, მათ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემები გამოიყენეს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.